ეროვნული ბიბლიოთეკა



# საქართველოს ქალი

აპრილი
№ 4 1969 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის





გორკა. დიდი სახლის აღმოსავლეთი ფასადი.

ფოტო დ. იაკობაშვილისა

# გორკაში

ხასტუმრო დარბაზი, სადაც ვ. ი. ლენინი ხვდებოდა გორკასთან ახლომდებარე მეურნეობის მუშებს.



ვ. ი. ლენინი, ნ. კ. კრუპსკაია, ა. ი. ელიზაროვა, ძმისშვილი ვიქტორი და მუშა ვერას შვილი.



ოთახი, სადაც ლენინმა გაატარა თავისი უკანასკნელი დღეები.



ეროვნული ბიბლიოთეკა









1. გორკა. ფანჩატური ბაღში.

2. გორკა. სასადილო ოთახი.

3. „ბელადის დაკრძალვა“. ს. მერკუროვის ქანდაკება.

4. გორკა. ვ. ი. ლენინის სამუშაო ოთახი.

# ლენინის ძეგლთან

გერმანელ პიონერებს საბჭოთა მეომრისგან

მე მივუყვები ეისლებნის მცხუნვარე ქუჩას,
გაზაფხულის მზით ყვავილები გადაპენტილა.
მომღიმარ ხალხის ამ გრძელ ნაკადს ბოლო არ უჩანს,
მოაქვთ ვარდები, გვირგვინები ლენინის ძეგლთან.
მე მივუყვები ეისლებნის განიერ ქუჩას,
და გული ჩემი სიამაყის ცეცხლით ენთება,
მესმის სიმღერა, ხალხთა შორის ძმობის სიმღერა,
ყელსახვევების ფრიალია ლენინის ძეგლთან.
ო, ჩემო კამრად, მაგ შენს თვალებს, ცისფერს, ვით ზეცას,
სულ არ ენახოთ როგორ სკდება მიწაზე ბომბი,
და გერმანიას ახალს, შენსას, მსოფლიოსათვის
ბევრი დამცველი აღეზარდოს ძმობის, მშვიდობის...
ცოტა ხნის წინათ, მეც შენსავით ვიყავ პატარა,
მეც ვატარებდი სიხარულით წითელ ყელსახვევს.
არა მყავს მამა, აქ ოდერზე ის დაღუპულა,
ბევრი ვეძებე, საფლავიც კი ვერსად ვერ ვნახე.
დაე, ჩვენს შვილებს ერთმანეთთან ეცხოვროთ ძმურად,
ერთად ეფრინოთ შორს, კოსმოსში — ვარსკვლავთა მხარეს,
დაე, ებრწყინოს მსოფლიოში მოწმენდილ დილას,
ნურც განგეცადოს შიმშილი და ობლობა მწარე.
მომკიდე ხელი, უფრო მძლავრად ვეძმოთ ამ დროშას,
ერთი სახელი ჩვენ დავარქვათ იმედს, განთიადს,
მაღლა ავწიოთ ძმობის დროშა — ვუთხრათ მადლობა,
თავისუფლების და მშვიდობის დამცველ პარტიას!

* * *

მე მივუყვები ეისლებნის მცხუნვარე ქუჩას,
ჩემს წინ, გოთური სახლების წინ, დგას ქანდაკება.
თეთრი ფანტელი დაუბერტყავს ბალს და ალუჩას,
და ძეგლისაკენ აქ ზღვა ხალხი მოემართება.

დურმიშხან ბერიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვ. ი. ლენინის დედა

„მე მგონია ორგანიზატორის ტალანტი, რომელიც გააჩნდა ილიჩს, მეტწილად დედისაგან ჰქონდა მიღებული მემკვიდრეობად.“

**ნ. კ. კრუპსკაია**

· ვლადიმერ ილიას ძე ლენინს დიდი პატივისცემა და განსაკუთრებული სიყვარული აკავშირებდა დედასთან — მარიამ ალექსანდრეს ასულთან.

ამ მეტად სათნო, დიდი ნებისყოფისა და ამტანობის ქალმა მრავალ განსაცდელს გაუძლო. შრომის სიყვარული, პატიოსნება და უბრალოება ახასიათებდა მას. ეს თვისებები ემჩნევა ულიანოვების ეზო-მიდამოს ულიანოვსკში, ყაზანში, სამარაში (კუიბიშევში), პოდოლსკში. უბრალოება და სისადავე სუფევდა მათ სახლში.

ქ. ულიანოვსკის ვ. .ი ლენინის სახლ-მუზეუმში მარიამ ალექსანდრეს ასულის ოთახი დერეფნისაგან გამოყოფილია ტილოს თეჯირით, რომლის იქით დგას ჩვეულებრივი რკინის საწოლი და ძველი კამოდი ყოველგვარი მორთულობის გარეშე. ფანჯარასთან პატარა მაგიდაა — ხელსაქმის მოწყობილობითა და წიგნებით.

მარიამ ალექსანდრეს ასული დაიბადა 1835 წელს პეტერბურგელი ექიმის ოჯახში. ბავშვობისა და ყრმობის დიდი ნაწილი ყაზანის გუბერნიის სოფელ კოკუშკინოში გაატარა. იგი ბავშვობიდანვე შეეჩვია შრომასა და ყაირათიანობას. განათლება შინ მიიღო. 1863 წელს დამოუკიდებლად მოემზადა და ჩააბარა გამოცდები დაწყებითი სკოლის მასწავლებლის წოდების მისაღებად. ამაზე მეტყველებს ულიანოვსკის სახლ-მუზეუმში დაცული მოწმობის ასლი, რომელიც მას სამარის სასწავლებლის დირექციამ მისცა. იგი კარგად ფლობდა სამ უცხო ენას. ბევრს კითხულობდა. მის ოთახში ლ. ნ. ტოლსტოის, ი. ს. ტურგენევისა და სხვა რუს კლასიკოსთა ნაშრომების გვერდით არის გოეთეს, შილერის, ჰიუგოს წიგნები გერმანულ, ფრანგულ, ინგლისურ ენებზე.

მარიამ ალექსანდრეს ასულს ძალიან უყვარდა მუსიკა. ის მართავდა სიმღერების საღამოებს ბავშვებისათვის, კარგად უკრავდა როიალზე და შვილებსაც შეაყვარა სიმღერა.

ვ. ი. ლენინის დედა შვილების პირველი მასწავლებელი და აღმზრდელი იყო. როცა ისინი პატარები იყვნენ, დედა მათთვის საინტერესო თამაშობებს იგონებდა. შემდეგში კი ყურადღებით ადევნებდა თვალყურს, თუ როგორ ამზადებდნენ გაკვეთილებს. დედა შვილებს უცხო ენების შესწავლაშიც ეხმარებოდა.

მარიამ ალექსანდრეს ასულს შვილები მზრუნველობითა და გულისხმიერებით ჰყავდა გარემოცული. მაგრამ იგი არ ზღუდავდა მათ დამოუკიდებლობას გადაჭარბებული მეურვეობით. მან შესძლო შვილებისათვის შთაენერგა ორგანიზებულობა, შეგნებული და გონიერი დისციპლინა.

მარიამ ალექსანდრეს ასული დაჯილდოებული იყო საუკეთესო პედაგოგიური ნიჭით. მისი უმცროსი ქალიშვილის, მარია ილიას ასულის მოგონებაში აღნიშნულია, რომ დედას ძლიერი ხასიათი, დიდი მოთმინება და მტკიცე ნებისყოფა ჰქონდა. ყოველთვის ზომიერი, მშვიდი, მხიარული და გულისხმიერი იყო. არასოდეს არ აუწევდა ხმას, კარგად იყენებდა წამახალისებელ საშუალებებს. იგი სიამოვნებას გრძნობდა შრომაში. არ უყვარდა ხმაურიანი საღამო-წვეულებები, ზედმეტი ზიზილ-პიპილოებით მორთვა და ე. წ. „ბრწყინვალე საზოგადოებაში“ ტრიალი. დიდი ოჯახის მეთაური, თვითონ უვლიდა მთელ მეურნეობას. ოჯახი მხოლოდ ილია ნიკოლოზის ძის მცირე ხელფასით ცხოვრობდა, მაგრამ ყაირათიანი დიასახლისი ყოველთვის სწორად ანაწილებდა შემოსავალს.

მარიამ ალექსანდრეს ასული და ილია ნიკოლოზის ძე ძალიან მეგობრულად ცხოვრობდნენ. ყოველგვარ ოჯახურ გაუგებრობას ისინი ცალკე განიხილავდნენ. ასე რომ, შვილები მუდამ ხედავდნენ მშობლების შეთანხმებულ საქმიანობას. ეს ხელს უწყობდა მათი სწორად აღზრდის საქმეს. ბავშვებს თავიდანვე აჩვევდნენ შრომას, გოგონებს — ხელსაქმეს, ვაჟებს — ხისაგან სხვადასხვა საგნების დამზადებას და ა. შ.

უფროსი შვილები დედას მეურნეობაში ეხმარებოდნენ, უვლიდნენ ბაღს.

მიუხედავად იმისა, რომ ილია ნიკოლოზის ძის სიკვდილის შემდეგ ოჯახი მძიმე პირობებში ცხოვრობდა, მარიამ ალექსანდრეს ასულმა შეძლო აღეზარდა შვილები, მიეცა უმაღლესი განათლება. როცა ისინი გაბედულად დაადგნენ რევოლუციური ბრძოლის გზას, მარიამ ალექსანდრეს ასული რევოლუციონერი შვილების თანამოაზრე გახდა.

რწმენისა და ხასიათის სიმტკიცე, დიდი ნებისყოფა ეხმარებოდა დედას, გადაეტანა მძიმე განსაცდელი ცარიზმის მხრივ მისი შვილების გამუდმებული დევნის გამო.

პირველი დიდი მწუხარება ულიანოვებისსათვის იყო ილია ნიკოლოზის ძის მოულოდნელი გარდაცვალება 1886 წელს. მარიამ ალექსანდრეს ასულმა მამაცურად გადაიტანა სიკვდილი ქმრისა, რომელიც მას ძლიერ უყვარდა და პატივს სცემდა. იგი სულიერად უფრო დაუახლოვდა შვილებს, ყოველნაირად ცდილობდა, მამის მაგივრობაც გაეწია მათთვის. მისი ძლიერი ნებისყოფა ვერ გატეხა 1887 წლის მარტში მომხდარმა ამბავმაც. იმ დროს პეტერბურგში სწავლობდნენ უფროსი ქალიშვილი ანა და უფროსი ვაჟი ალექსანდრე. ალექსანდრე ულიანოვი აქტიურ მონაწილეობას იღებდა მეფე ალექსანდრე III-ზე თავდასხმის მოწყობაში, რისთვისაც დაპატიმრებულ იქნენ ალექსანდრეც და ანაც. დედა ამ ცნობის მიღებისთანავე მოემზადა პიტერში გასამგზავრებლად.

მაშინ სიბირსკში რკინიგზა არ იყო. სიზრანამდე ცხენებით მგზავრობდნენ. გზა ცუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



**„ჩვენ წავალთ სხვა გზით“**

მხატვარ პ. ბ ე ლ ო უ ს ო ვ ი ს სურათიდან

დი იყო და წამსვლელნი თანამგზავრს ეძებდნენ ხოლმე. ვლადიმერი წავიდა დედისათვის თანამგზავრის მოსაძებნად, მაგრამ ცნობა ალექსანდრე ილიას ძის დაპატიმრების შესახებ მთელ ქალაქში გავრცელებულიყო და არავინ ისურვა გაჰყოლოდა დამნაშავის დედას. ლიბერალური ინტელიგენციის სიმხდალემ განაცვიფრა ჩვიდმეტი წლის ვლადიმერ ილიას ძე.

მარიამ ალექსანდრეს ასული პეტერბურგში გაემგზავრა ერთი მიზნით: როგორმე შვილები გადაერჩინა, ყველაფერი ეღონა, რათა შეემსუბუქებინა მათი მდგომარეობა.

მან ინახულა პატიმარი ვაჟიშვილი, დაესწრო სასამართლოს სხდომას და მოისმინა შვილის ამაღელვებელი სიტყვა. იგი განცვიფრდა, ასე კარგად, დამაჯერებლად, ლამაზად რომ ლაპარაკობდა მისი შვილი, არ ეგონა თუ ასე შეეძლო ლაპარაკი საშას. საშინლად გაუჭირდა ბოლომდე მოსმენა, ადგა და გარეთ გავიდა.

განა მარტო დედა აღელვა ალექსანდრე ილიას ძის ამ შესანიშნავმა სიტყვამ? მას ბეჭდავდნენ ჰექტოგრაფზე და რევოლუციური პროპაგანდისათვის იყენებდნენ შემდგომ.

ქვრივი დედის დიდმა მეცადინეობამ შვილი მაინც ვერ იხსნა, 21 წლის ვაჟიშვილის ჩამოხრჩობის ამბავი მან პეტერბურგის ქუჩაში, ფურცლების გამავრცელებლისაგან შეიტყო. აქედან იგი მარტო წავიდა პატიმარ ქალიშვილთან — ანასთან პაემანზე და იმდენი გამძლეობა გამოიჩინა, რომ ანასთვის არ გაუმხელია ეს შემზარავი ამბავი.

მისმა დიდმა მწუხარებამ და გამძლეობამ განაცვიფრა ციხის ადმინისტრაციის მსახურნი, პატივისცემა და სიმპათია გამოიწვია მათში.

მძიმედ განიცადა დედამ უფროსი ვაჟიშვილის დაღუპვა, დიდხანს, ძალიან დიდხანს არ შეეძლო ლაპარაკი საშაზე. მაინც ყოველნაირად ცდილობდა თავისი მწუხარებით არ შეეწუხებინა დანარჩენი შვილები. რამდენადაც შეეძლო მალავდა ცრემლებს.

ამის შემდეგ მარიამ ალექსანდრეს ასულისათვის უფრო ახლობელი გახდა შვილების რევოლუციური საქმიანობა. მას უფრო მეტად შეუყვარდა ისინი.

კვლავ დიდი მწუხარება ეწვია ოჯახს 1891 წელს. პეტერბურგში ტიფით გარდაიცვალა ოლღა ილიას ასული ულიანოვა, რომელიც იქ სწავლობდა. ოლღა ნიჭიერი, შრომისმოყვარე ქალიშვილი იყო. იგი საზოგადოებრივი საქმიანობის გზებსაც ეძებდა. დაიღუპა 20 წლის ასაკში. ვლადიმერ ილიას ძე იმ დროს პეტერბურგის უნივერსიტეტში აბარებდა გამოცდებს. მან მოათავსა ოლღა საავადმყოფოში. თავს ევლებოდა დას, რომელიც მასზე ერთი წლით უმცროსი იყო და ბავშვობიდანვე დიდი მეგობრობა აკავშირებდათ. როცა ოლღა ცუდად გახდა, ვლადიმერმა ტელეგრაფით გამოიძახა დედა. ლენინი მარტო აღმოჩნდა დედასთან ოლღას სიკვდილის მძიმე დღეებში. იგი ხედავდა ახალი, მძიმე დარტყმის დროს როგორ ნებისყოფას იჩენდა დედა, რა დიდი გულისხმიერებით ეპყრობოდა იგი შვილებს.

მარიამ ალექსანდრეს ასული დიდად შეაწუხა შვილების დევნამ მთავრობის მხრივ. გასული საუკუნის ბოლოს, 1895 წლის დეკემბერში დაპატიმრებული იქნა ლენინი „ბრძოლის კავშირის“ საქმეზე. შემდეგ გადაასახლეს შუშენსკოეში. ლენინის გადასახლებაში ყოფნის დროს დააპატიმრეს მისი უმცროსი ძმა დიმიტრი ულიანოვი. 9 თვე იჯდა იგი ციხეში, რამაც დიდად იმოქმედა მის ჯანმრთელობაზე. ამავე პერიოდში დააპატიმრეს უმცროსი და მარიამ ილიას ასულიც. მას შეაწყვეტინეს სწავლა და ნიჟნიში გადაასახლეს.

დედა დადიოდა ხან ტულაში — პატიმარ დიმიტრისთან, ხან ნიჟნიში — გადასახლებულ მარიამთან. 1899 წელს დედა გაემგზავრა პეტერბურგში, რომ ვლადიმერ ილიას ძისთვის ენისეის გუბერნიიდან სადმე, საზღვარგარეთ ან პეტერბურგის ახლოს გადმოყვანა მოეხერხებინა. პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა ბოროტად უთხრა მას: „შეგიძლიათ იამაყოთ თქვენი შვილებით. ერთი ჩამოახრჩეს, მეორესაც თოკი ელოდება“. ამაზე ლენინის დედამ მთელი ღირსებით უპასუხა: „დიახ, მე ვამაყობ ჩემი შვილებით“.

1900 წლის გაზაფხულზე ულიანოვების ოჯახი პოდოლსკში ცხოვრობდა. აქ რამდენიმე დღით ჩამოვიდა გადასახლებიდან დაბრუნებული ლენინი. პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ პოდოლსკში გადასახლებული იყო დიმიტრი ულიანოვი, ციხიდან განთა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისუფლდა მარია ილიას ასულიც. რძალი — ნადეჟდა კონსტანტინეს ასული გადასახლების უკანასკნელ წელიწადს უფაში იხდიდა.

ვლადიმერ ილიას ძე საზღვარგარეთ უნდა გამგზავრებულიყო, მაგრამ სურდა წასვლამდე ენახა მეუღლე. საჭირო იყო გამგზავრების ნებართვის აღება პოლიციის დეპარტამენტში. ამ საქმის მოსაგვარებლად პოდოლსკიდან პეტერბურგში წავიდა ლენინის დედა. განსაცვიფრებელი იყო, მაგრამ მან შეძლო ამ საქმის მოგვარება და 65 წლის ქალი უფაში გაემგზავრა ლენინთან და ანა ილიას ასულთან ერთად რძლის სანახავად ადგა.

მარიამ ალექსანდრეს ასული მუდამ ცდილობდა ახლოს ყოფილიყო შვილებთან და დახმარებოდა მათ. შვილებსაც დიდად უყვარდათ და პატივს სცემდნენ დედას.

ვ. ი. ლენინის წერილები დედისადმი სათუთი სიყვარულითა და მზრუნველობით იყო გამსჭვალული. იგი ყოველთვის ცდილობდა მის დამშვიდებას და გამხნევებას, სწუხდა დედის ჯანმრთელობაზე, სთხოვდა არ ედარდა, უზიარებდა აზრებსა და გეგმებს, განიცდიდა იმას, რომ დედას ამდენი ჯაფა ადგა ცარიზმის მხრივ დევნილი შვილებისათვის ზრუნვაზე.

ლენინის უკანასკნელი და ხანგრძლივი ემიგრაციის დროს 75 წლის მარიამ ალექსანდრეს ასული რუსეთიდან საზღვარგარეთ გაემგზავრა. ვლადიმერ ილიას ძე გულისფანცქალით ელოდა დედის ჩასვლას სტოკჰოლმში. დაიქირავა ოთახები. იგი დედას განსაკუთრებული მზრუნველობით ეპყრობოდა.

სტოკჰოლმში ვლადიმერ ილიას ძე რამდენჯერმე გამოვიდა სოციალ-დემოკრატიული ჯგუფების კრებებზე მოხსენებებით. მის ერთ-ერთ გამოსვლას ბოლშევიკური ჯგუფის კრებაზე დაესწრო მარიამ ალექსანდრეს ასული.

დადგა განშორების დღე. ნავმისადგომიდან ვლადიმერ ილიას ძე დაღონებული უყურებდა, თუ როგორ ავიდა დედა გემზე. მას კი არ შეეძლო გემზე ასულიყო. გემი რუსულ კამპანიას ეკუთვნოდა. იქ მას მყისვე დააპატიმრებდნენ. მხოლოდ ნაღვლიანი მზერით აცილებდა ლენინი დედას, შესაძლო იყო ის ველარასოდეს ენახა. მართლაც, ეს იყო ვლადიმერ ილიას ძის უკანასკნელი შეხვედრა დედასთან.

მარიამ ალექსანდრეს ასული გარდაიცვალა 1916 წელს.

ცოტა კიდევ რომ ეცოცხლა, იგი მოესწრებოდა შვილთან ახალ შეხვედრას, ვ. ი. ლენინის დიადი საქმის გამარჯვებას და დიდად გაიხარებდა, რადგან მარიამ ალექსანდრეს ასული შვილების იდეური მეგობარი იყო, თანაუგრძნობდა მათ რევოლუციურ მისწრაფებებს.

**მედეა რამიშვილი,**
ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის ლექტორი.

# მშვიდობის ფონდში

ბოლნისის რაიონის მშრომელ ქალთა მიერ გასულ, 1968 წელს შეიკრიბა და მშვიდობის ფონდში ჩაირიცხა 1898 მან. 80 კაპ. (ათას რვაას ოთხმოცდაცამეტი მან. 80 კაპ.).

ამ დიდ, კეთილშობილურ საქმიანობაში განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ კაზრეთის ქართული საშუალო სკოლის მოსწავლეები: ზინა ბასილაშვილი, ლია და ნაზი დემურაშვილები, პედაგოგი ნუშა კევლიშვილი, ბოლნისის ქართული საშუალო სკოლის მასწავლებლები: ეთერ ნადარაია და ირა ბეზირგანია, რაჭისუბნის საშუალო სკოლის მასწავლებელი ელზა გვერდწითელი და ექიმი მარიამ პავლიაშვილი.

# ჩვენი შეხვედრები

საინტერესო შეხვედრა მოეწყო თბილისის აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკაში. შეკრების ინიციატორები იყვნენ ფაბრიკის ბიბლიოთეკის გამგე დოდო მარშანია და ლიტერატურული წრის ხელმძღვანელი ლალი ჯაფარაშვილი. ფეიქრებმა სამსჯელოდ გამოიტანეს საკითხი, რომელიც დღეს ძალიან ბევრს აღელვებს. ეს არის ქალის როლი და მდგომარეობა წარმოებასა თუ ოჯახში. მსჯელობას საფუძვლად დაედო „საქართველოს ქალში“ გამოქვეყნებული წერილების ციკლი — „დედა, მეუღლე, დიასახლისი“. ამ საკითხზე გამოითქვა სხვადასხვა აზრი. თავიანთ გამოცდილებაზე, თავიანთ გულისტკივილზე, თავიანთ წინადადებებსა და სურვილებზე ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეები გულწრფელად და მხურვალედ ლაპარაკობდნენ.

აი, მთავარი აზრი მათი გამოსვლებიდან:

**ელენე სეფიაშვილი** — ფაბრიკის მთავარი დესინატორი: „ჟურნალში, სასურველია, კიდევ უფრო მეტი ადგილი დაეთმოს იმ საკითხების გაშუქებას, რომლებიც ეხება ქალს, როგორც მშრომელს, დედას, მეუღლეს, დიასახლისს“.

**ანა მამაჯანოვა** — მოსამზადებელი საამქროს ინსტრუქტორი: „ყველა შვილი სათანადოდ ვერ აფასებს დედას. არ იჩენს მოხუცებულებისადმი პატივისცემას და ზრუნვას. ჩავუნერგოთ შვილებს მშობლების პატივისცემა“.

**მარიამ გვრიტიშვილი** — საქსოვი საამქროს ინსტრუქტორი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი: „წინათ მამაკაცები უფრო მეტ პასუხისმგებლობას გრძნობდნენ ოჯახისადმი, ახლა ეს პასუხისმგებლობა შესუსტდა“.

**ანზორ ჩიხლაძე** — საქსოვი წარმოების პარტიული ბიუროს მდივანი: „მამაკაცი ძალზე დატვირთულია. როდისღა დაეხმაროს მეუღლეს? ბავშვი დედასთან უფრო ახლოა და დედამაც მეტი ყურადღება უნდა გაუნაწილოს“.

**ნინო ამაშუკელი** — ფაბრიკის ექიმი: „გაუფრთხილდით ქალის, დედის ჯანმრთელობას“.

**ნინო ხუცურაული** — გამომყვანი წარმოების კონტროლის უფროსი: „მეტი ყურადღება სჭირდებათ ბავშვთა აღზრდის კერებს, ბავშვების აღზრდას ოჯახში, უმეთვალყუროდ დარჩენილ ბავშვებს“.

**გოგი დოლიძე** — საქსოვი წარმოების დაზგადანადგარების უფროსი: „მამაკაცები მეტად უნდა ეხმარებოდნენ მეუღლეებს ოჯახში, მონაწილეობდნენ ბავშვთა აღზრდაში, შვილებთან ერთად ატარებდნენ ორდღიან დასვენებას“.

**მარგალიტა ზვიადაძე** — საფაბრიკო კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე, პენსიონერი, პარტიის ორჯონიკიძის რაიკომთან არსებული ქალთა კომიტეტის წევრი: „შრომის სწორი განაწილება ოჯახში, შვილების აღზრდა შრომის პრინციპებით, ოჯახის წევრთა ბედნიერების საწინდარია“.



# კიროველები

რეპორტაჟი

## 1. დიდები ქარხანაში მიდიან

ჩაუმუხლავად დგას კიროვის სახელობის ქარხანა თბილისის მუშათა უბანში, ღრმაღელეს რომ ეძახიან, უდიდესი ქარხანა ამიერკავკასიაში, უდიდესი და უმძიმესი ჩარხების მშენებელი. მსოფლიოს ყველა კუთხეში ელიან ამ ჩარხებს თბილისის მარკით. მათ ეზიდებიან ზღვით და ხმელეთით, გადააქვთ გემებით და მძიმე ეშელონებით.

1932 წელს მან პირველად გამოუშვა ნავთობის მრეწველობისათვის საჭირო იარაღები. 1936 წლიდან ჩარხების დამზადებაზე გადავიდა. 1940 წელს ქარხნის წარგზავნილებმა „კრასნი პროლეტარში" აითვისეს სხვადასხვა სამარჯვეების, მოწყობილობის დამზადება, ნახაზების შექმნა, ტექნოლოგიური პროცესები, მაგრამ როცა საქართველოში დაბრუნდნენ, ომი დაიწყო.

უნივერსალური ჩარხების გამოშვების გეგმები გადაიდო. ქარხანა გადავიდა სამხედრო აღჭურვილობის დამზადებაზე. 1944 წელს ქარხანამ მშვიდობიანი საქმისათვის რამდენიმე ჩარხი გამოუშვა. 1945 წლიდან იგი მთლიანად გადავიდა უნივერსალური ჩარხების წარმოებაზე. სახარატო ჩარხები და სპეციალური ჩარხები — ასეთია დღეს კიროველების პროდუქცია.

პატარა ხრახნიც ვერ დამზადდებოდა ამ უზარმაზარ ტერიტორიაზე, რომ არ იყვნენ კვალიფიციური, საქმის პატრიოტი ადამიანები, რომ მათ არ ჰქონდეთ მარტო შრომის კი არა, ცხოვრების კარგი პირობები, რომ მათ არ ეზრდებოდეთ შვილები კეთილ გარემოში.

ერთი პატარა ხრახნიც ვერ დამზადდებოდა, რომ კიროველები დილაობით მშვიდად არ გამოდიოდნენ სახლიდან შვილებთან ერთად, არ ტოვებდნენ პატარებს ბაღში და საამქროებში არ შედიოდნენ გულდამშვიდებულნი.

ვესტუმროთ ზოგიერთ მშობელს თავის სამუშაოზე.

...გურჯაანელი ზურაბ გველუკაშვილი 20 წელია დგას სახარატო დაზგასთან და დღიურ გეგმას 180 პროცენტით ასრულებს, ამზადებს სპეციალური მილდასამუშავებელი ჩარხების ყველა დეტალს. ლენინის ორდენოსანი ზურაბ გველუკაშვილი რაციონალიზატორული წინადადებების ავტორიცაა. მას საკუთარი გაუმჯობესებები შეაქვს თავისი ჩარხის მუშაობაში. ამიტომაც 1967 წლის 6 აპრილისათვის ზურაბმა ხუთწლედის გეგმა შეასრულა. მისი ორი ბავშვი ქარხნის საბავშვო ბაღში გაიზარდა.

ქარხანაში 1950 წლიდან არის მეტაბელედ ნადია ანდრიაძე-ჯიგაური. აქვე მუშაობს მისი ვაჟი თამაზ ანდრიაძე, კბილანების დამამუშავებელი უბნის უფროსად. რძალი ნანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაზიკაშვილიც კიროველია, უსაფრთხოების ტექნიკის ინჟინერი, თამაზთან ერთად უმაღლესში სწავლობს. კიროველთა ამ ოჯახს ორი პატარა გოგონა ჰყავს. ისინი ბაღში დადიან და თავიანთ თავს კიროველებად თვლიან.

სამღებრო საამქროში ძირითადად ქალები მუშაობენ. ამ საამქროში საბოლოო სამუშაო, ჩარხების შეღებვა სწარმოებს. ის დიდი შრომა, რაც ჩარხს აქამდე შეალიეს, აქ უნდა დაგვირგვინდეს. და რაც მთავარია, უნაკლოდ. ქალებს ესმით თავიანთი მოვალეობა და გულდაგულ ღებავენ ჩარხებს. არ იყოს მცირე წუნიც კი, არ დარჩეს უყურადღებოდ ვეება ჩარხის არც ერთი მილიმეტრი — ეს ევალებათ მუშა ქალებს და მღებავი ინსტრუქტორი ჟუჟუნა თანდილაშვილიც ამაზე ამახვილებს ყურადღებას, ზედამხედველობას უწევს სამუშაო პროცესებს.

ჟუჟუნა თანდილაშვილი სამღებროში არ დაგვიხვდა. ის შესაფუთავად გამზადებულ სპეციალურ ჩარხთან იდგა და უკანასკნელად ამოწმებდა. ჩარხი იმ დღეს ტოვებდა ქარხნის ტერიტორიას და ადგებოდა შორეულ გზას ქალაქ ტოლიატისკენ. საზეიმო განწყობილება იყო, სიამაყით აცილებდნენ კიროველები ვეებერთელა, მილდასამუშავებელ სპეციალურ ჩარხებს. მათი შვილებიც ამაყობენ, რომ დედა ზეინკალი ან მღებავია, მამა ინჟინერია ან ხარატი, რომ თვითონაც ჩარხებთან მივლენ, როცა გაიზრდებიან.

ჩარხები ტოლიატისკენ გზას დაადგნენ.

ჩვენ პატარებთან წავედით.

მათი საუბრის მოსასმენად წავედით.

მათი სიამაყის სანახავად წავედით.

მათ სანახავად წავედით, ვინც ფიქრობს, კიროველი გახდეს და გზა მისცეს ჩარხებს თბილისიდან შორეულ ქვეყანაში.

## 2. პაჭარებს ბაღში მიუხარიათ

კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის საბავშვო ბაღში სწორედ იმ დროს მივედით, როცა ჯგუფებში მეცადინეობა იყო. პირველი, რაც თვალში მოგხვდებათ, ეს არის დიდი სისუფთავე. ზოგჯერ ერთბავშვიან ოჯახშიც ვერ აღწევენ თავს არეულობას, აქ კი, ორასბავშვიან კერაში უჩვეულო წესრიგი დაგვიხვდა. იგრძნობოდა, რომ წესრიგისთვის ზრუნავენ არა მარტო დიდები, არამედ პატარებიც. შესვლისას ისიც ვიფიქრეთ, მოზრდილთა დაწესებულებაში ხომ არ მოვხვდით-თქო, ისეთი სიწყნარე და სიმშვიდე იდგა მთელ შენობაში. ეტყობა, აქ ბავშვთა აღზრდის საქმეში მთავარია დისციპლინა.

თუ გამოიკითხავთ, გაიგებთ, რომ ბევრი ჰირვეული ბავშვი ჰყოლიათ აღმზრდელებს სოფიო ჯულელს და ნინო ასიტოვას. მაგრამ ისინი გამოცდილი პედაგოგები არიან და თავიანთი მიდგომით, აღზრდის მეთოდით ადვილად შესძლეს ბავშვის დამშვიდება და გარდაქმნა. წესრიგი — ეს არის მთავარი, რასაც ბავშვები პატარაობიდანვე ეჩვევიან.

საბავშვო ბაღის საქმიანობაში შეიძლება უმეგზუროდაც კარგად გაერკვეთ. ამაში თვალსაჩინოება დაგეხმარებათ. კედელზე, თავთავის ადგილას გამოკრულია ყველა უფროსი ადამიანის სამუშაო გეგმა — ბაღის გამგის, ექიმის, ექთანის, აღმზრდელის, ძიძის, მზარეულის თუ სამნეო ნაწილის უფროსისა. თვით ბავშვებმაც კი კარგად იციან თავიანთ ჯგუფში კვირის რომელ დღეს რა მეცადინეობაა, როდის არის თხრობა, ანგარიში, მუსიკის გაკვეთილი, ვარჯიში და სხვა. ბავშვებს აჩვევენ შრომას ყველა ჯგუფში; ბავშვები ამოწმებენ სისუფთავეს, მორიგეობენ სასადილოში და სათამაშოებთან.

საშუალო ჯგუფში შევედით. აღმზრდელი ეთერ გველესიანი თხრობას ატარებდა. იგრძნობოდა, რომ მთავარ ყურადღებას აქცევდა ინტონაციას. თხრობა დიდხანს არ გაგრძელებულა, რომ ბავშვები არ გადაღლიყვნენ. მერე ხატვა დაიწყეს. პატარებმა მოიმარჯვეს ფანქრები. აღმზრდელი იმას მიუჯდა, რომელსაც უჭირდა ფანქრის სწორად დაჭერა.



ქარხნის საამქროში



სათუთი და ძალიან რთულია აღმზრდელის პროფესია, მან უნდა ჩამოაყალიბოს მომავლის ადამიანი, საფუძველი შეუქმნას მის ფსიქიკას, განათლებას, მორალურ სახეს. ბევრი კარგის სწავლა შეუძლიათ აღმზრდელებს ბაღის გამგის გალინა საყვარელიძისაგან. იგი ხომ 1939 წლიდან აღმზრდელ-მასწავლებლად მუშაობდა კიროველთა ბაღში. მასთან დღეს მისი აღზრდილების ბავშვებიც დადიან. გალინას ყველა ახსოვს აღზრდილები და წასულები. ვინ მუსიკოსი გამოვიდა, ვინ ინჟინერი, ვინ მხატვარი.

ყოველ წელიწადს გალინას უფროსი ჯგუფელები ქარხანაში მიჰყავს ექსკურსიაზე. აქ დაზგასთან ხვდებიან ერთმანეთს შვილები და მშობლები. ბავშვებს ნათელი წარმოდგენა ექმნებათ დედ-მამის საქმიანობაზე, ერკვე-

ვიან ყველა იმ დეტალის დანიშნულებაში, რომელთა სახელები ადრე მშობლების ნაამბობით იცოდნენ. აქ ბავშვები გაფართოებული თვალებით შესცქერიან უზარმაზარ ჩარხებს და ერთ დღეში კიდევ ერთი საფეხურით იზრდება მათი წარმოდგენა სამყაროზე.

გაზაფხულზე დგება აღზრდილებთან გამოთხოვების დღეც. გალინა სასკოლო ჩანთებით ისტუმრებს მათ ბაღიდან და სამუდამოდ იმახსოვრებს საყვარელ სახეებს. ვინ იცის, შეხვდება კი ხელმეორედ სადმე?

მისთვის არ არსებობს განსაზღვრული სამუშაო საათები. მას არ შეუძლია, როცა ბავშვები გაიკრიფებიან, ადგეს და სახლისკენ წავიდეს. შინ ორი შვილიშვილი ელოდება, მაგრამ აქ უფრო დიდი საქმე აქვს. 200 ბავშვის აღზრდა ორი შვილიშვილის აღზრდას ვერ შეედრება. ის ტოვებს ბაღს, როცა ყველა საქმეს მოათავებს და შეუძლია გული დაჯერებულად იქონიოს.

ზაფხულს განა ცოტა საფიქრალი მოაქვს! ბავშვები ყოველ წელიწადს ცემში მიჰყავს გალინას. სამ წელიწადში ერთხელ მთას ზღვის ჰაერით ცვლიან. მზის ქვეშ, ჰაერზე სხეული ლაღდება, იწრთობა, ჯანსაღდება. ზაფხულობით გაძლიერებული მადა აქვთ პატარებს. გონივრულად, ბავშვების სურვილის გათვალისწინებით, ორგანიზმისათვის აუცილებელი საკვების გამოყენებით მზადდება კერძები და ბავშვები წონაში იმატებენ.

ყველა მშობელს მიუხარია მიიყვანოს ბავშვი საბავშვო ბაღში, რადგან იცის, რომ იგი გაიზრდება ჯანმრთელი, გონიერი და შრომისმოყვარე. ასეთ საბავშვო ბაღში პატარებს უფრო მეტად მიუხარიათ, რადგან აქედან შედიან ცხოვრებაში, ეცნობიან სამყაროს მრავალფეროვნებას, ჯანსაღად და სწორად უყურებენ ყველაფერს, რასაც ადრე ვერ ხედავდნენ, ან ბუნდოვნად წარმოიდგინათ.



საბავშვო ბაღის გამგე გალინა საყვარელიძე

და ჩვენც გვიხარია, რომ კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის ახლოს; ავჭალის ქუჩაზე № 6-ში კიროველთა შვილებისათვის არის ისეთი ბაღი, როგორიც ეკადრებათ უდიდესი და ურთულესი ჩარხების მშენებელთა ბავშვებს. თუმც შენობა არ არის ტიპიური და მთლად შესაფერი, მაგრამ ქარხნის ადმინისტრაციას დღის წესრიგში აქვს ამ საკითხის გადაჭრა.

**ლია კაკაბაძე**









ეროვნული ბიბლიოთეკა

# დაბადება

ესკიზი

— ვაი, ვაი, არ მინდა, არ მინდა! — მთელი ღამე იშფოთა პატარა კვირტმა. ვერა და ვერ მოისვენა. კვნესოდა და წრიპინებდა. რა არ უნდოდა, არ იკითხავთ? დაბადება!.. ისევ კვირტში ჯდომა ერჩივნა, თბილად და არხეინად.

ის იყო, მზე მთის თავზე ამოიწვერა, პირველი სხივი ცვარდაყრილ ქვეყანას მახარობლად გამოუგზავნა, რომ კვირტმა ერთი გაიზმორა, გაიჭიმა და ტანსაცმელი გადაიძრო. და პირველმა კვირტქალამაც თავი გამოჰყო. იგრძნო თუ არა თავი სამშვიდობოზე, ერთი მიიხედ-მოიხედა, იქაურობა მიათვალიერ-მოათვალიერა და გაკვირდა — ეს რა ჭრელი ყოფილა ქვეყანაო!

მერე უცოდველად გადაიკისკისა.

— ჰმ... თავხედი. ხეირიანად არც კი დაბადებულა და, უკვე ხარხარებს! — წყრომით ჩაილუღლუღა ღვიამ და მეზობლებს გახედა...

— შენ, ეი! მთელი ღამე წუწუნით არ მომასვენე, ახლა კი სიცილით აგვიკელი. რა გაცინებს, თუ იცი? ვინაა აქ შენი დასაცინი? — გაჯავრდა დარბაისელი ნაძვის ხე.

— როგორ თუ რა მაცინებს? ჩემს თავზე ვიცინი!

— მერედა, რა გაქვს სასაცილო?

— ჰმ, მე დაბადება არ მინდოდა და თურმე რა მშვენიერი ყოფილა ქვეყანა! შეხედე, დეიდა, შეხედე. რა ლამაზი კაბა აცვია! ვინაა, რა ჰქვია? — კვირტქალამ თითი გაიშვირა ღაღანა, წითელი ყვავილისაკენ.

— ეგა? ეგ ვარდი გახლავს. ყვავილთა დედოფალი!

— ჰოო!.. — ჩაიცინა კვირტქალამ, — მე რომ გავიზრდები, მოვიტაცებ, ან კაბას მოვპარავ! ძალიან მომწონს.

—რას მოიტაცებ, ცერცეტო! — ნაძვს გულიანად გაეცინა. — შენ ჯერ ჩვენი კანონი არ იცი: აქ ყველას თავისი კაბა აცვია, თავისი ფერი და ლაზათი აქვს. მოპარვაც არ შეიძლება... ვარდს დაბადებიდანვე ჰყავს მეხოტბე, — ბულბული ჰქვია, ყოველ დილას უგალობს. ყური უგდე, რა ხმა აქვს! ეგ კი ისეთი გოროზია, ისეთი დიდგულა, რომ მისი გალობაც არაფრად მიაჩნია. მაგისი მოსაწონი არავინ არის!...

კვირტქალამ ყინწი წაიგრძელა და ძირს გადაიხედა. ერთ ლამაზ ხეს თმები ჩამოეშალა, პატარა გუბეს ჩაჰყურებდა და ცრემლებით ისველებდა ტანს.

—ვაი, ამას რაღა ატირებს? — იკითხა თვალებდაჭყეტილმა, ცნობისმოყვარე კვირტმა.

— მაგას ტირიფი ჰქვია... წინათ სხვა სახელი ჰქონდა — „მცინარა“. ახლა კი — მტირალა ტირიფს ეძახიან, რადგან ასე დედაშვილიანად სულ ტირიან!...

— მერე, რა ატირებთ, ტკივათ რამე?

— ასე ერთი ციცქნა ხარ და ქვეყნის ამბავი გინდა იცოდე! დავიღალე, მომასვენე. — გაუწყრა ნაძვი.

— სულ ერთია, არ მოგასვენებ, სანამ არ მიპასუხებ.

ნაძვის ხემ სინანულით გახედა თმაჩამოშლილ, მტირალა ტირიფს, ერთი-ორი ცრემლი თვითონაც გადმოაგდო მოჯარული წამწამებიდან და დინჯად დაიწყო:

— უწინ, იმ ადგილებში, სადაც მცინარას მამა-პაპა ცხოვრობდა, ხალხი მრავლად ყოფილა. მათი ბალღები, გოგო-ბიჭები სიმღერითა და სიცილით იკლებდნენ, თურმე, იქაურობას.

ქვეყანას მრავალი მტერი ჰყავდა. ბევრი შემოსევა ახსოვს ჩვენს წინაპრებს... აქცევდნენ და ანადგურებდნენ ყოველივეს. ვაზსა და ადამიანს ხომ მოსისხლე მტრად ეკიდებოდნენ. იწვოდა და ნაცრდებოდა აქაურობა... მცინარას პაპა-ბებიას პატარა ტბის პირას უცხოვრია. მათ მახლობლად წვრილშვილ ქალს ჰქონია ბინა.

მტერს აუოხრებია მთელი სოფელი, ამ წვრილშვილ ქალსაც მოხდომია კარზე. ქალს ძუძუთა ბალღი მკერდში ჩაუხუტებია და ისე გადავარდნილა ტბაში. არ დანებებია მტერს.

მცინარას სიცილი შეუწყვეტია, ტოტები ძირს დაუშვია, წყალში ჩაძირულა და დედაშვილის გადარჩენა განუზრახავს, მაგრამ ამაოდ. ვერ უპოვია დაძირული დედა-შვილი... მას შემდეგ მათი ტოტები წყალში ჩაიყურება, ეძებენ დაღუპულებს და იცრემლებიან. ამიტომაც შეარქვა ხალხმა მტირალა ტირიფი...

დაღონდა კვირტქალა. ძალიან დაღონდა...

ქარი ამოვარდა. შიშველი ტოტები ერთმანეთს შეაწყვიტა.

—ვაიმე, ეს რაღაა? თავი გამიბრუვდა, ლამის ჩამოვვარდე!.

— ხელები მაგრად მოჰკიდე დედაშენს. აბა, რა გეგონა, მარტო კისკისი გიშველიდა? ეს ქარია, — გაეხუმრა ნაძვი. — აბა, ყოჩაღად იჯექი, თუ ჩამოვარდი, ველარას გიშველი!..

წვიმა წალმაუკულმა უშხაპუნებდა თავპირში. კვირტქალა თავს ძლივს იკავებდა. რომ არ ჩამოვარდნილიყო. წვეთებს ხარბად ყლაპავდა. ღონეს იკრეფდა და უფრო მაგრად ეჭიდებოდა დედის ტანს.

განთიადისას ღრუბელი გადიყარა. წვიმა შეწყდა, ქარიც ჩაწყნარდა. მზის ამოსვლა უფრო ლამაზი იყო და მიმზიდველი. ნაწვიმარი ფოთლები ათასფერად აკიაფდა. ახლა უფრო მოეწონა პატარას ნაწვიმარი დედა. უფრო ამოიწია. ფოთოლს ფოთოლი ემატებოდა, უკვე ყლორტად იქცა, მოღონიერდა.

— ეჰეი, როგორ მოგწონს აქაურობა? — შეეკითხა ნაძვი ეშმაკურად.

— შენი მწვანე კაბის ჭირიმე, მომწონს რომელია, თქმაც მიჭირს! რა მეშველებოდა, რომ არ დავბადებულიყავ!

იხარე ბუნებავ, ჩემი დაბადებისათვის!..
კარგია დაბადება!..

დოდო ზურაბიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარფში

ვისაც ოთხი ათეული წლის წინათ უნახავს სასაზღვრო სოფელი სარფი, დღეს რომ ეწვიოს, ველარც კი იცნობს.

—ნამდვილი სასწაული მოხდა ამ ხნის მანძილზე, — მოიგონა ამას წინათ ძველმა მეთევზემ მემედ ქორიძემ, — ქალამანი გვენატრებოდა, ბიძიკო, მიწურებში ვცხოვრობდით, დელფინის ქონით ვანთებდით ჭრაქს. ახლა? ნუღა მკითხავთ, ენაც კი ვერ გადმოსცემს, ისე დამშვენდა სარფი. ტელევიზორმა ხომ მთლად შეგვიცვალა ცხოვრება. ჩავრთავ და მთელ ქვეყანას, როგორც ზღაპრულ სარკეში, ისე ვხედავ.

— რაღა დროს ზღაპრებზე ლაპარაკია, ჩემო მემედ, — სიტყვა გააწყვეტინა ათასი ჭირვარამის მომსწრე მოხუცმა ოსმან ჯევაიშიმ, — ყველაფერი ეს მშრომელი კაცის მარჯვენით არის შექმნილი, ალალი მარჯვენით.

ოსმან ჯევაიშის კიდევ რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ ქალების გამოჩენაზე სიტყვა გაწყვიტა, ქუდი მოიხადა და მათ მიესალმა: „სალამი და დიდება ჩვენი სოფლის ალმშენებლებს“.

მართლაც და, დღეს თუ სარფი ასე ლამაზად გამოიყურება, მისი კოლმეურნეობა თუ დოვლათითაა სავსე, ამ დიდ შრომაში სარფელი ქალების წვლილიცაა. ეს იცის ოსმან ჯევაიშიმ, მიტომაც მათ დანახვაზე მოწიწებით ქუდს იხდის.

სარფს ბევრი მოწინავე ქალი ჰყავს, აი ისინიც:

## აიშე და მისი რძალი გულიკო



აიშე სარფში დაიბადა, თექვსმეტი წლისა არც კი იქნებოდა, აქვე, სარფში ერთ ღარიბ-ღატაკ შაბან აბდულიშზე რომ გაათხოვეს.

— შვილო, ვაის გაეყარე და უის შეეყარე, — ოჯახიდან წასვლის წინ მიატირა დედამ აიშეს.

— თუ მარჯვედ გასწევენ ცხოვრების უღელს, გზას გაიკაფავენ, ოჯახსაც შექმნიან, — მოუჭრა სიტყვა რეშიდმა ცოლს.

აიშეს განსაკუთრებით დაამახსოვრდა მამის სიტყვები. ქმართან ერთად დღელამეს ასწორებდა, წელებზე ფეხს იდგამდა და იმედით ცხოვრობდა. სწამდა, დადგებოდა ნანატრი დღე. ეს დღეც დადგა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ აზრი და გასაქანი მისცა მართალი კაცის შრომას. აბდულიშების ჭერმაც გაიხარა. მალე სიხარულის აკვანიც გადაირწა, ერთს მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე... როცა კი თქვა აიშემ, ბედნიერი დედა ვარო, უბედურება დაატყდა ოჯახს, უკურნებელმა სენმა ორი შვილი გამოაცალა ხელიდან, არ გასულა დიდი ხანი, რომ ქმარი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაეღუპა. ერთხანს უიმედობამ შეიპყრო აიშე, ადამიანებს გაურბოდა, ჩაიკეტებოდა სახლში, ოთხ შვილს გარშემო შემოისხამდა, წინ გარდაცვლილი შვილებისა და ქმრის სურათებს დაილაგებდა და ხმამაღლა მოთქვამდა. ბოლოს დასასრული რომ აღარ მიეცა მის ტირილსა და ვაებას, ხმა აღიმაღლეს ნათესავებმა, მეზობლებმა: „ნუ გავიწყდება, დედა ხარ, ოთხ შვილს გაზრდა უნდაო“. დედის მოვალეობამ ისევ ცხოვრების გზაზე დააყენა აიშე. სოფელი მხარში ამოუდგა. შვილებმაც გაუმართლეს, საქმეში ეშველებოდენ. უფროსი შვილი ზურაბი რომ დაქორწინდა, დედამ თამაზზე დაიწყო ზრუნვა, ცალკე დაუდგა სახლი. ჯერ კიდევ მეორე ქორწილის ხმა არ მინელებულიყო, რომ მესამე შვილის, ციალას წასაყვანად მოადგა საქორწილო მაყრიონი აბდულიშების კარს. ეს საქმეც ბედნიერად დაგვირგვინდა.

— ახლა შენი ჯერი დადგა, ჩემო ტარიელ მე უკვე ხანში შევედი, ერთი შენს ბედნიერებასაც შემასწარი, შვილო, და მერე თუ გინდ...

სიტყვა გაწყვიტა დედამ, კედელზე დაკიდულ შავ ჩარჩოში ჩასმულ ქმრის სურათს შეხედა, უხმოდ გამოელაპარაკა უდროოდ წასულს: „სამი შვილი ბედნიერად დავაბინავე და არც მეოთხეზე გაჭმევ სირცხვილსო“.

— შვილო, კერას ხომ არ გავაციებთ, აქ მოიყვანე ცოლი, ცუდი დედამთილი არ ვიქნები.

ფეხბედნიერი გამოდგა ახალსოფლელ გულიკოს შემოსვლა აბდულიშების ოჯახში. კიდევ უფრო გაიხარა აიშეს გულმა.

გულიკო ტანმორჩილი, ხალისიანი, ეშხიანი ახალგაზრდა ქალია. ერთი შეხედვით გათხოვილი არ გეგონებათ, სამი შვილის დედა კია უკვე. დედამთილი და რძალი ერთ ბრიგადაში მუშაობენ. გულიკომ წელს 0,18 ჰექტარ ფართობზე ერთი ტონის მაგიერ ორ ტონამდე ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრიფა. მის მიერ მოვლილ ჩაის პლანტაციას წუნი არ დაედება. ოჯახში შეიხედეთ, გული გაგინათდებათ.

— კარგი რძალი მყავს, ამას შემოევლოს ჩემი თავი, — სიამაყით ამბობს აიშე.

ახლა რძალს ჰკითხეთ, რას გეტყვით დედამთილზე:

— ეგ რომ არა, ოჯახს მარტო მე როგორ გავუძლვებოდიო. — თან დააყოლებს: — ჩემი დედამთილი ჯანმრთელობას არ უფრთხილდება, პენსიაზე გავიდა, მაგრამ მაინც არ ისვენებს, გასულს წელს კოლმეურნეობაში ჩაის კრეფის გეგმა ორმაგად შეასრულა, მასზე გაპიროვნებული ნაკვეთი საუკეთესოდ გამოიყურებაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ემინე ქორიძე

— მიხეილ, ემინეს მზე უნდა ლოცო, ოქრო ცოლი გყავს, კერა გაგიჩაღა, აგაშენა. ეგ რომ არა, ვნახავდით რა კაციც იქნებოდი.

ამას გასაბრაზებლად ეუბნებიან სარფელები და იმ დროს აგონებენ მიხეილს, როცა ქოხში ცხოვრობდა, სახლის აშენებას ვერ ბედავდა — თვითონ რომ ვერ მოაბა თავი საქმეს, ბოლოს მოხუცები შეუჩნდნენ, ცოლის შერთვა დააძალეს.

ერთ დღეს ბათუმში ნათესავს ესტუმრა მიხეილი. ემინეს იქ გაეცნო, ისიც სტუმრად იყო. ნახა და პირდაპირ განუცხადა მასპინძელს: შენი სტუმარი ქალიშვილის გარეშე თავს არ ვიცოცხლებო. ასევე ჯიქურ გაუმხილა სურვილი ემინესაც. არც ის დაუმალა, მარტო ქოხი რომ ჰქონდა. ემინემ ახედ-დახედა, ვაჟკაცობას ვერ დაუწუნებდა მიხეილს, მანაც ჯიქურ შეახვედრა სიტყვა: თუ უღელს გამიწევ, უსახლკარობის არ მეშინიაო.

იმ დღესვე დაბრუნდა მიხეილი სარფში, ნათესაობა და მეზობლები ფეხზე დააყენა. ეუხერხულებოდა მიხეილს ქორწილის გამართვა პატარა ქოხში, ნათესავის ოჯახში მოვაწყობო, მაგრამ პატარძალმა უარი თქვა, ეს ქოხი მირჩევნიაო. მოთავდა ქორწილი და იმ დღიდანვე ჩაება ემინე ოჯახურ საქმიანობაში.

— ჩემო მიხეილ, ეს ბაღი რატომაა ასე გაპარტახებული, რა გედგა აქ?

— ციტრუსი. შარშანწინ ყინვამ დაჰკრა და ერთიანად მოსპო,

— მერე და ასე უნდა მიგეტოვებინა?

მიხეილს პასუხი არ გაუცია, ან რა უნდა ეთქვა, თავისმართლება ზედმეტი იყო. გადამხმარი ნერგები ამოყარეს, ნაკვეთი გაასუფთავეს, გადაბარეს, ახალი ნერგები მოიტანეს.

ოჯახური საქმეები რომ მოაწესრიგა, კოლმეურნეობის თავმჯდომარეს მამია მემიშიშის ეწვია ემინე.

— ბატონო მამია, ახლა მეც თქვენი კოლმეურნეობის წევრი ვარ, უსაქმოდ ხომ ვერ გავჩერდები.

საგონებელში ჩავარდა თავმჯდომარე. რა მიეცა მისთვის, ყველა ნაკვეთი გაპიროვნებული იყო. ერთი ნაკვეთი ჰქონდა, მხოლოდ...

— შვილო, ნაკვეთი კი გვაქვს, მაგრამ როგორ გკადრო, მოუსავლიანია, კაციშვილი არ ეკარება იმას.

— მიწა ხომ არის, ბარი და თოხი ხომ მიუდგება? — იკითხა ემინემ და პასუხსაც აღარ დაუცადა, — დასტურ ვარ! მე მოვუვლი მაგ ნაკვეთს.

ემინემ ეკალ-ბარდისაგან გაასუფთავა ნაკვეთი, ორჯერ გადაბარა, გათოხნა, სასუქი შეიტანა. თანდათან მოიხედა მიწამ, ჩაის ბუჩქებს ფერი მიეცათ, ამან უფრო წაახალისა ემინე, შედეგიც გამოიღო შრომამ. სულ რომ არაფერი მოჰყავდათ უწინ, ახლა, ამ ნაკვეთზე, რომლის ფართობი 0,40 ჰექტარია, ტონობით ჩაის კრეფს ემინე. შორს რომ აღარ წავიდეთ, ავიღოთ შარშანდელი მოსავლის შედეგები: ექვსი ტონა და ორასი კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მიიღო ნაცვლად სამი ტონისა. ემინეს საშუალო შემოსავალი თვეში 300 მანეთამდე გაიზარდა. ერთ ამდენსაც მისი ქმარი იღებს, თაგრამ მაინც არ ეშვებიან სარფელები მიხეილ ქორიძეს. ემინემ კაცად გაქცია, დაგასახლა, აგაშენაო...

მიხეილი ხმას არ იღებს, იფერებს კიდეც, ეს დამცირებად როდი მიაჩნია, პირიქით, ემაყება, უხარია, რომ ასეთი მარჯვე დიასახლისი უდგას მხარში და ცხოვრების უღელს ერთნაირად ეწევიან. ხანდახან ფიქრი გაიტაცებს ხოლმე მიხეილს, გაახსენდება რა იყო, რა ჰქონდა, რა აქვს ახლა, რის პატრონი გახდა. მერე თავის აყვავებულ კარმიდამოს სიმწვანეში ჩადგმულ ორსართულიან სახლს გადაავლებს თვალს, იქვე აივანზე გადმომდგარ ემინეს რომ დაინახავს ხუთ შვილთან ერთად, ულვაშებზე გადაისვამს ხელს და ღიღინით აუყვება სახლის კიბეებს.

## ნაზიბროლა მემიშიში



საშუალო ტანისაა, ცქვიტი, შავგვრემანი, ერთი შეხედვით საშუალო სკოლის მოსწავლე გეგონებათ, მაგრამ უკვე თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დაუსწრებელი ფაკულტეტის მეხუთე კურსის სტუდენტია. აგრონომიული საქმე ბავშვობიდანვე იტაცებდა ნაზიბროლა მემიშიშს. ამიტომ იყო, რომ სარფის რვაწლიანი სკოლა დაამთავრა თუ არა, სკოლის დირექტორს ალი თანდილავას სთხოვა რჩევა: გადაწყვეტილი მაქვს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში შევიდე. მანამდის სად მირჩევთ სწავლის გაგრძელებას, ისევ საშუალო სკოლაში თუ სასასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმშიო.

მანაც ტექნიკუმში შესვლა ურჩია.

ნაზიბროლამ დაამთავრა ბათუმის ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი და თავის სოფელს დაუბრუნდა, კოლმეურნეობაში დაიწყო მუშაობა. რაც უფრო იჭრებოდა კოლმეურნეობის საქმიანობაში, მით უფრო ნათელი ხდებოდა, რომ ტექნიკუმში მიღებული ცოდნა საკმარისი არ იყო. არც ის უნდოდა, ჩამოსცილებოდა სოფელს და წასულიყო ქალაქში სწავლის გასაგრძელებლად.

გაბედა ნაზიბროლამ დაუსწრებლად ესწავლა. საბუთები შეიტანა ინსტიტუტში, გამოცდებიც კარგად ჩააბარა. ამან უფრო წაახალისა იგი. კოლმეურნეობის გამგეობამ შეამჩნია მისი მუყაითობა. მეორე კურსზე რომ გადავიდა, ახალი თანამდებობა ჩააბარეს — აგრონომ-ენტომოლოგად დანიშნეს, მცენარეთა დაცვის საქმე მიანდეს. ეს კი პატარა საქმე როდი იყო. მამია მემიშიშიმ რომ გაიგო მის ქალიშვილს ასეთი პასუხსაგები მოვალეობა დააკისრეს, არ ესიამოვნა, გაჯავრდა, როგორ შეიძლება ამხელა საქმე მივანდოთო. მამიას ცხოვრების დიდი გამოცდილება ჰქონდა, ათას ადგილზე ნამუშევარი კაცი იყო, იცოდა მცენარეთა ზრდა-განვითარებას ბევრი მტერი ჰყავდა: ყინვა, თოვლი, გვალვა, წვიმა... ბუნების წინააღმდეგ ბრძოლა კი საზრიან მოქმედებასთან იყო დაკავშირებული, თუ დროზე ვერ აუღებდი ალღოს, ვერ გაუგებდი რა უჭირდა, რა საფრთხე მოელოდა ხეს, მერე უკვე გვიან იყო. მაგრამ არ გამართლდა მამის შიში, მესამე წელია მუშაობს ნაზიბროლა და თავი არ შეურცხვენია.

* * *

სარფის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობას განა მარტო აიშე აბდულიში, გულიკო აბდულიში, ემინე ქორიძე და ნაზიბროლა მემიშიში ამშვენებენ? აბა თვალი გადაავლეთ ლარისა ჯავახიშვილის ჩაის პლანტაციებს, ეწვიეთ ხატიჯე კახიძის ნაკვეთს, თამარ დოლიძის ციტრუსებს, გაეცანით აიზენატ ქორიძის, მარიამ ხორავას, ნათელა ბაქრაძის, ზოია კაკაბაძის საქმიანობას, გაეცანით და რომელი რომელს სჯობია მერე თქვით!

**ვახტანგ გორგანელი,**
ბათუმის რაიონი, სოფელი სარფი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ბიონიკა

**ვ. ჭავჭანიძე,**
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი.

**მ. ხვედელიძე,**
ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

სიტყვა „ბიონიკა“ წარმოიშვა ძველი ბერძნული გამოთქმიდან „ბიონ“, რაც ნიშნავს „სიცოცხლის უჯრედს“. ამ გაგებით ბიონიკა ახალი სიტყვა არაა. მრავალი წლის წინათ ბიონიკას უწოდებდნენ იმ დარგს, რომელსაც ახლა ჰქვია „ციტოლოგია“, ე. ი. მეცნიერება ცოცხალი უჯრედის შესახებ. მაშინ ამ სიტყვით გულისხმობდნენ დღევანდელი ბიონიკის არსს, ცოცხალი ერთეულის შეცნობას. ეს, რა თქმა უნდა, ამ მეცნიერების მხოლოდ უპირველესი ამოცანაა, ცოცხალი ერთეული ამოსავალი წერტილია მეცნიერების შემდგომი განვითარებისათვის.

ბიონიკის განვითარების ახალი ეტაპი ფაქტიურად დაიწყო 1960 წელს, ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც ბიონიკის საკითხებზე მოწვეული იყო ეროვნული სიმპოზიუმი. სიმპოზიუმზე შეიტანეს წინა,-დადება, ტერმინი „ბიონიკა“ ეწოდებინათ ცოცხალი ბუნების ინჟინრული ხედვისათვის. სიმპოზიუმმა ჩაიარა ნიშნით: „ცოცხალი პროტოტიპები ახალი მეცნიერების გასაღებია“.

სიმპოზიუმის მიზანი იყო ერთმანეთისთვის შეეხვედრებინა ტექნიკურ და ბიოლოგიურ მეცნიერებათა წარმომადგენლები, რათა გაცნობოდნენ ურთიერთ ამოცანებს. მოხსნილიყო ინფორმაციული ბარიერი, რომელიც მათ ერთმანეთისაგან აშორებდა. ახლა ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს საერთო ენის გამონახვა ბიონიკის ტერმინოლოგიის დასადგენად.

ბიონიკა წარმოადგენს ბიომიმეზისის საერთო პრობლემის ერთ-ერთი საინტერესო ასპექტის შემდგომ განვითარებას, ე. ი. სიცოცხლის ერთი ფორმის მიბაძვას მეორე ფორმისათვის. ეს მოვლენა იმდენად დიდ როლს თამაშობს თავდაცვის, ან მსხვერპლზე თავდასხმის საქმეში, რომ იგი გენეტიკურად დაუმკვიდრდათ ცხოველებს. არანაკლებ როლს ასრულებს ბიომიმეზისი ადამიანის მოქმედების სხვადასხვა სფეროშიც; ცხოველებისათვის მიბაძვის ელემენტებია ღმერთების გამოსახულებებშიც, შამანებისა და გრძნეულების რიტუალებშიც. ცხოველების მიბაძვით ადამიანმა შექმნა მიმოსვლის ყოველგვარი საშუალება, ფრთებიდან დაწყებული რაკეტით დამთავრებული. ყველაფერი , რაც ადამიანს შეუქმნია, გარდა ზოგიერთი დამოუკიდებელი გამოგონებისა, (მაგალითად ბორბალი, ენერგიის გარდაქმნა და მიღება სხვადასხვა გზით), ძირითადად მიბაძვის ხასიათს ატარებს.

ბიონიკა, უეჭველად წარმოადგენს იმ საერთო პრობლემის ერთ-ერთი ასპექტის განვითარებას, რომელსაც ბიომიმეზისი ჰქვია. მაგრამ ბიომიმეზისი, სხვა ასპექტებისაგან განსხვავებით, არის სამეცნიერო ტექნიკური საქმიანობის საკმაოდ დიდი დარგი.

ბიონიკის მეტად რთულ და ყოვლისმომცველ პრობლემას წარმოადგენს ცოცხალი ორგანიზმების ორგანიზაციის შესწავლა. ეს პრობლემა მოიცავს კითხვათა დიდ რიგს, დაწყებული ცალკეული უჯრედი ნეირონის შესწავლიდან, დამთავრებული თავის ტვინის მუშაობით. ძირითადი კვლევანი ბიონიკის დარგში დაკავშირებულია ნეირონების ანალოგების შექმნასთან და მათ გამოყენებასთან კიბერნეტიკაში, მაღალი სირთულეების კიბერნეტიკულ მანქანებში, რომლებიც თავისი საინფორმაციო შესაძლებლობებით უახლოვდებიან ადამიანის ტვინს, მაგრამ ჯობნიან მას ინფორმაციის გარდაქმნის სისწრაფესა და მოუღლელობაში.

საშუალებათა და მიზანთა განსაზღვრის შესაბამისად არჩევენ ბიონიკის მეცნიერების სამ კოორდინატულ მიმართულებას: ბიოლოგიურ ბიონიკას, თეორიულ ბიონიკასა და ტექნიკურ ბიონიკას.

ბიოლოგიური ბიონიკის საგნად თვლიან ბიოლოგიურ სისტემებში მოვლენებისა და პროცესების შესწავლას. ამჟამად აღწერილობითი ბიოლოგია ივსება ცოცხალი სისტემების ზუსტი რიცხობრივი ანალიზით, მათემატიკური, ბიოლოგიური, ფიზიკის, თეორიული კიბერნეტიკის და თეორიული ბიონიკის მეთოდებით. ბიონიკის საინჟინრო მიზნობრივი მიმართულება ინჟინრებს კარნახობს დააყენონ ბიოლოგების წინაშე ამოცანა: როგორ, რა მიზნით იძიონ და შეისწავლონ ცოხალი ბუნება. ბიოლოგებმა კი ტექნიკური ინტერესებით ამა თუ იმ საკითხის ძიებისას უპასუხონ: რას უნდა ელოდე ამა თუ იმ ორგანიზმის ან პრინციპის თვითორგანიზაციის შესწავლიდან. გარდა ამისა, ბიოლოგებმა ინჟინრებს უნდა წამოუყენონ საპასუხო ამოცანა — შექმნან ძიებისათვის აუცილებელი საშუალებანი, რომელთა გარეშეც შეუძლებელია ინჟინრისათვის საინტერესო ცნობების მიღება. ამიტომ ბიოლოგიური სპეციალიზაციის წარმოქმნასთან ერთად მეცნიერებაში წ:მოწეული იქნა ლოზუნგი: „ბიონიკა ეს არის სპეციალიზაციის ერის დასასრული და უნივერსალიზაციის ერის დასაწყისი“.

აუცილებელია აღვნიშნოთ ტექნიკური კიბერნეტიკის ტექნიკური ბიონიკიდან განმასხვავებული თავისებური სპეციფიკა. ტექნიკური კიბერნეტიკა საინჟინრო პრაქტიკაში ახორციელებს საერთო თეორიული კიბერნეტიკის მიღწევებს წმინდა საინფორმაციო პროცესების დარგში. ტექნიკური ბიონიკა კი მოწოდებულია, განახორციელოს საერთო ბიონიკისა და ბიოლოგიური ბიონიკის, როგორც საინფორმაციო, ასევე ენერგეტიკული პროცესები ფიზიკის, ტექნიკის, ქიმიის და სხვა გამოყენებითი მეცნიერებების მიღწევების საშუალებით. ენერგეტიკული პროცესები, კერძოდ, დაკავშირებულია ბიოენერგეტიკის და ბიოქიმიის გამოკვლევების პრობლემებთან. მათ მიეკუთვნება უჯრედისა და მოლეკულარულ დონეზე ბიოქიმიური პროცესების გამოკვლევანი, ბიოენერგეტიკული პროცესების მართვის კანონზომიერების დადგენა, რთული ბიომექანიკური სისტემების და მათი თავისებურებების სტრუქტურისა და ფუნქციონირების გამოკვლევა, როგორიცაა, მაგალითად, კუნთის შეკუმშვის მექანიზმი. აუცილებელია, აღვნიშნოთ პრინციპული განსხვავება ბიოფიზიკასა და ბიონიკას შორის: ბიოფიზიკა შეისწავლის მხოლოდ ფიზიკური პროცესების მიმდინარეობას ორგანიზმში და არა მთლიან ორგანიზმს; ისევე, როგორც მაგლითად, კიბერნეტიკა იკვლევს მხოლოდ პროცესების მართვას და საინფორმაციო პროცესებს, ბიონიკას კი მიზნად აქვს ენერგიის და ინფორმაციების გარდაქმნა და გამოყენება, ტექნიკაში.

მაშასადამე, ბიონიკა, ამ მიზნით, გამოყენებითი მეცნიერებაა. ბიოფიზიკური კვლევით მიღებული მონაცემები ხორციელდება ფიზიკო-ქიმიის საშუალებებით ტექნი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კურ მოწყობილობებში ადამიანის შემოქმედების ურიცხვი მიზნებისათვის.

ცოცხალი ბუნება ბევრ რამეს გვასწავლის; არა მარტო რადიოელექტრონიკას, ავტომატურ მართვასა და კიბერნეტიკას, არამედ არქიტექტურასა და საამშენებლო ხელოვნებასაც.

მშენებლები და არქიტექტორები უკვე მრავალი საუკუნეა სწავლობენ მცენარეული სამყაროს „არქიტექტურას", ბუნებიდან სესხულობენ არა მარტო კონსტრუქციებს, არამედ აგების მეთოდებსაც. ეს ნათლად გვიჩვენებს მტკიცე კავშირს ბუნებასა და ადამიანის შრომითი შემოქმედებას შორის.

ბუნებაში კონსტრუქციული ფორმების უსასრულო ნაირსახეობაა და შეიძლება ამან დააბნიოს არქიტექტორი თუ ინჟინერი. კონსტრუქციული ფორმების ასეთი სიუხვე თანამედროვე ტექნიკასაც არ გააჩნია მეტი წილი ტექნიკური სტრუქტურების განსხვავება ცოცხალი სტრუქტურებისაგან შეიძლება ავხსნათ იმით, რომ ადამიანისა და ბუნების წინაშე მდგარი პრობლემები სხვადასხვაგვარი იყო. ამიტომ ყველა ცოცხალი კონსტრუქცია განსაზღვრული მიზნისათვის უნდა განვიხილოთ როგორც ოპტიმალური. თუ კი ბუნების ამოცანა იგივეა, რაც ტექნიკურისა, მაშინ ცოცხალი ბუნების კონსტრუქცია შეიძლება იყოს ტექნიკურის პირველსახე. თითოეული ფოთოლი, ბალახი, ფურცელი შეიძლება გამოდგეს მოდელად ტექნიკური კონსტრუქციებისათვის და გამოყენებულ იქნას სხვადასხვა ნაგებობისა და ელემენტების დაპროექტებაში.

ბიოლოგებისათვის ცნობილია, რომ ძვლის კონსტრუქციები, რომლის სიმტკიცე ბევრად მაღალია, ვიდრე ფოლადისა, ხანდახან გაცილებით უკეთესია ფოლადის კონსტრუქციებზე. ერთი სიტყვით, საამშენებლო ხელოვნება, აღჭურვილი ბიონიკით, გახდის სამყაროს უფრო ბუნებრივს და სრულყოფილს, ვიდრე ახლაა.

ბუნებაში ბევრი განსაცვიფრებელი მაგალითია ცხოველების, მწერებისა და ფრინველების ნავიგაციური უნარისა. ამასთან, საინტერესოა აღვნიშნოთ, რომ პაწაწკინტელა მწერების „ნავიგაციური" ხელსაწყოები სიზუსტეში არ ჩამოუვარდება იმ „ხელსაწყოებს", რომლებითაც მსხვილი ცხოველები სარგებლობენ.

იყო შემთხვევები, როცა კანადის ველებზე მცხოვრები პეპლები გამოსაზამთრებლად მექსიკაში გაეშურნენ და 800 კმ-ზე მეტი იფრინეს. ყოველ სამ წელიწადში ერთხელ ზღვის უზარმაზარი კუ კვეთავს სამხრეთ ატლანტიდას იმისათვის, რომ ამაღლების კუნძულზე კვერცხი დადოს. რა ორიენტირებით სარგებლობენ პეპლები და ცხოველები, ოკეანის სივრცეებზე, ჯერ კიდევ გაურკვეველია. ცხოველების არცერთი მიგრაცია ისეთ აღტაცებას არ იწვევს, როგორც ფრინველების გადაფრენა. შორეული გადაფრენის ჩემპიონია ჩრდილოეთის თევზიყლაპია, იგი ბუდობს არქტიკაში, ზამთარს კი ანტარქტიდაში ატარებს, ყოველწლიურად იგი 40.000 კმ-ზე დაფრინავს. რითი უნდა ავხსნათ ფრინველების ეს შესანიშნავი ორიენტირების უნარი? ამის ასახსნელად ბევრი თეორია იქნა წამოყენებული. 100 წლის წინათ იყო ასეთი აზრი, თითქოს ფრინველებს გააჩნდეთ „რაღაც მაგნიტური კომპასის მსგავსი რამ, რაც ხელს უწყობს მათ ორიენტაციაში, დედამიწის მაგნიტურ ველზე. მაგლითად, დამტკიცებულია, რომ ლოკოკინები და ბრტყელი ჭიები განიცდიან ისეთ სუსტ მაგნიტურ ველსაც კი, როგორც დედამიწის მაგნიტური ველია. სუსტი მაგნიტის პაწია ნატეხიც კი საკმარისია, რომ დედამიწის მაგნიტური ველი შევცვალოთ და ვაიძულოთ ცხოველები მოძრაობის მიმართულება შეიცვალონ. მაგნიტური კომპასის ბუნება ჭიებში, ფრინველებში და ცხოველებში ჯერ გაურკვეველია.

მეტად საინტერესოა ღამურების, მწერების, დელფინების და თევზების ექოლოკაცია. ღამურების ექოლოკაციის უნარის შესწავლა მეცნიერებმა 20 წლის წინათ დაიწყეს. მეცნიერები და ინჟინრები განცვიფრებაში მოჰყავს ამ ცხოველების ექოლოკაციის უნარს, მგრძნობელობას, საიმედობას, იმ მექანიზმის მცირეგაბარიტიანობას, რომელიც იღებს და გადასცემს ხმის სიგნალებს, თევზები კი ელექტროსიგნალებს. თანამედროვე რადიოლოკაციური დანადგარები, თავისი სრულყოფილებით, ბევრად ჩამოუვარდება ამ ბუნებრივ ლოკატორებს.

დადგენილია, რომ მთელი ინფორმაციის 90 პროცენტზე მეტი, რომელსაც იღებს ადამიანის ტვინი, თვალის საშუალებით გადის. თანამედროვე ტექნიკას შეუძლია შექმნას ისეთი რამ, რაც ფანტასტიკას ესაზღვრება. მაგრამ ჯერ არც ერთ ხელსაწყოს არ შეუძლია თუნდაც მიუახლოვდეს იმ სრულყოფას, რასაც მიაღწია ბუნებამ თვალის საშუალებით. რა თქმა უნდა, დაბალი ორგანიზაციის ცხოველების თვალი ბევრად განსხვავდება უფრო რთული აგებულების ადამიანის თვალისაგან, მაგრამ მათ შორის მაინც დიდი მსგავსებაა.

ბაყაყის თვალი ადამიანის თვალთან შედარებით ნაკლებად რთული არ არის, ამან აიძულა მეცნიერები გამოეკვლიათ ბაყაყის თვალი. ბაყაყის თვალის ელექტრონული მოდელი, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებშია შექმნილი, სამართლიანად ითვლება იმ მოწყობილობის წინამორბედად, რომელიც საშუალებას გვაძლევს აღმოვაჩინოთ მტრის თვითმფრინავები და რაკეტები. ამ ხელსაწყოს შექმნა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიღწევაა ამ მეცნიერების მოკლე ისტორიის მანძილზე. იმისთვის რომ ბიოლოგების საწყისი კვლევიდან, რომელიც ბაყაყის თვალს სწავლობდა გადასულიყვნენ ბაყაყის თვალის მომქმედ ელექტრონულ მოდელზე, საჭირო შეიქნა შექმნილიყო ბიონიკის მთელი ერთი თავი. ეს თავი დაწერილია მათემატიკოსების, ინჟინრებისა და სხვა მეცნიერების მიერ, ყველა იმათ მიერ, ვინც ბიოლოგიური კვლევების შედეგი განახორციელა საინჟინრო პროექტებში და მთელი რიგი ბიოლოგიური იმფორმაციები აქცია ტექნიკურ სისტემად.

დელფინი — აფალინი ბიონიკის ყველაზე სახელგანთქმული ვარსკვლავია, ალბათ დელფინები დახელოვნებული და ყველაზე კარგი მოცურავეები არიან. მათი ცურვის სიჩქარე საათში 40 კმ-ზე მეტია. თუმცა, როგორც გვიჩვენებენ ფიზიკის ძირითად კანონებზე დამყარებული გაანგარიშებები, დელფინებს არ უნდა შეეძლოთ ასეთი სწრაფი ცურვა, მათი სისწრაფე საათში 20 კმ-ს არ უნდა აღემატებოდეს. მაშ რაშია ამ პარადოქსის მიზეზი? ამ პრობლემას მეცნიერები 1968 წლიდან სწავლობენ. დადგინდა, რომ დელფინი თავისი კანის განსაკუთრებული წყობის მეშვეობით აღწევს ასეთ ფენომენალურ სისწრაფეს. შექმნეს დელფინის კანის მოდელი, რომელმაც წყლის წინააღმდეგობა მოძრაობისას შეამცირა 60 პროცენტით. ეს პრინციპი შესაძლებელია გამოყენებული იქნეს გემების, წყალქვეშა ნავებისა და თვითმფრინავების ზედაპირის შესაქმნელად. პატარა კატერის გამოცდისას გამოირკვა, რომ „ლამფილოს" ტიპი დიდ ეფექტს იძლევა საათში 40 კმ-ს სიჩქარის დროს, რაც დელფინის სიჩქარეს უახლოვდება. დელფინი — აფალინი კოლოსალურ ინტერესს იწვევს ტვინის უმაღლესი განვითარებითაც. შედარებითი წონის, ზომის და აგებულების სირთულის თვალსაზრისით დელფინის ტვინი მხოლოდ ადამიანის ტვინს ჩამორჩება. 1965 წელს ამერიკელმა ნეიროქირურგმა ჯ. ლილიმ აღმოაჩინა, რომ დელფინებს შეუძლიათ მიბაძონ ადამიანის ხმას. ჯერ კიდევ ხანგრძლივი მეცნიერული კვლევა სჭირდება იმის დადგენას, შესძლებს თუ არა ადამიანი დელფინებთან ლაპარაკს.

საბოლოოდ, გვინდა აღვნიშნოთ, რომ თანამედროვე ბიონიკა, როგორც მეცნიერება საკმარისად განვითარდა და დაიყო მთელ რიგ დამოუკიდებელ დისციპლინებად. ბიოლოგიური კვლევანი უნდა წარმოებდეს მხოლოდ მეცნიერთა მუშაობის დიდი ორგანიზაციის პირობებში, მრავალი სპეციალობის მეცნიერების გაერთიანებით, ბიოლოგებისა და მედიკების გაერთიანებით, რომელთაც ხელმძღვანელობას უწევენ კიბერნეტიკისა და ელექტრონიკის სპეციალისტები.

ბიოლოგიური კვლევისათვის ასეთი სამეცნიერო კოლექტივების შექმნა და ორგანიზაცია საპატიო ამოცანაა.

ამ კვლევებს ორი მიმართულება აქვთ; პირველი დაკავშირებულია იმ შედეგების ტექნიკურ ენაზე გადაყვანასთან, რომელიც კაცობრიობამ ბიოლოგიურ სისტემაში დააგროვა, მეორე კი სპეციალურ კვლევასთან — საინჟინრო-ბიონიკური ხედვის კუთხით. კვლევების მიზანია, იპოვოს პასუხი მთელ რიგ კითხვებზე, რომლებიც ნაკლებად საინტერესოა სუფთა ბიოლოგიური პრობლემების გადასაწყვეტად, მაგრამ მეტად საჭიროა ცოცხალი სისტემების ტექნიკური ანალოგების აგებისათვის.

ელექტრონული ბიბლიოთეკა



# ქალი საკონცენტრაციო ბანაკიდან

მარტის სუსხიანი ქარი დაძრწოდა ნახევრად დანგრეულ ქერჩის ქუჩებში, პირქუშად იდგნენ გვერდებჩალეწილი სახლები. სადღაც ავის მომასწავებლად ყმუოდნენ ძაღლები. იკლაკნებოდა კვამლისა და ხანძრის სვეტები. ხელფეხი ეთოშებოდა ქალს, მაგრამ მაინც მხარდამხარ მიჰყვებოდა ლაზარეთის უფროსს ვასილ მალოვს. მათ ფრონტის ხაზიდან გამოჰყავდათ დაჭრილი მეომრები, სწრაფად უხვევდნენ ჭრილობებს და ნოვოროსიისკში გზავნიდნენ.

...საიდანღაც წივილით წამოვიდა ჭურვი, ქუხილით დაასკდა მიწას. გაოგნებულ ფედოსის მიწა და მტვერი შეაყარა სახეში. ნაღმმა მენჯის ძვალი გადაუტეხა ვასილის. ზურგით ატარა იგი ქალმა ჰოსპიტლამდე. მტრებმა არც ჰოსპიტალი დაინდეს, ცეცხლის ალში გაახვიეს იგი. ცას სწვდებოდა დაჭრილთა გმინვა-კივილი. ფედოსიმ მაშინ ბევრის სიცოცხლე გამოსტაცა სიკვდილს. და როცა კვლავ გახოხდა დაჭრილის მისაშველებლად, რაღაც მძიმე მოხვდა თავში და გრძნობა დაჰკარგა, გონს რომ მოეგო, გერმანელები ადგნენ თავს...

...პოლიციელებითა და ძაღლებით გარშემორტყმული ტყვეთა კოლონა ილაჯგაწყვეტილი ნაბიჯებით მიღოღავდა დასავლეთისაკენ.

— შნელ, შნელ, — ჩხაოდნენ ჯალათები და ჩამორჩენილებს კონდახებით უმასპინძლდებოდნენ. ფედოსი ებრალიძე ძლივს მიათრევდა ფეხებს. მიდიოდა და არ თავდებოდა გზა, მიდიოდა და არ იცოდა სად მიიყვანდა ეს გზა. ძალა არ შესწევდა, მაგრამ უნდა ევლო, ვინც ოდნავ ჩაიმუხლებდა, ავტომატებით ცხრილავდნენ...

განმანაწილებელი პუნქტი პირქუშად შეხვდა ტყვეებს, არც საჭმელი იყო, არც წყალი. ნათელა ტიტვინიძემ და ელენე ხომასურიძემ უკახასკხელი ლუკმა გაუყვეს ფედოსის, მერე შუაში ჩაიწვინეს და გაათბეს.

ირიჟრაჟა. მხეცებივით შემოცვივდნენ ბარაკში გერმანელები. მათრახებით წამოყარეს ფეხზე პატიმრები და გზას გაუყენეს... კოლონას გზადაგზა სიცილხარხარით ჩაუვლიდნენ ფრონტზე მიმავალი გერმახელთა ჯარის ნაწილები და ცარიელ ქილებსა და პაპიროსის ნამწვავებს ესროდნენ. ბოღმა ახრჩობდა ფედოსის. იგი არც დახეთქილი ფეხების ტკივილს გრძნობდა, არც დაღლას, არც ის უგრძვნია, თუ როგორ მიაღწიეს მავთულხლართებით შემოზღუდულ ჟიტომირის საკონცენტრაციო ბანაკს. ბანაკში აჩრდილებს გავდნენ ადამიანები. გროვებად ეყარა გვამები. ტიფი და სხვა ეპიდემია მოსდებოდა ბანაკს. ტიფით დასუსტებული იწვა კატუშა კაკაბაძე. ტიფიანებს არ აჩერებდნენ ბანაკში. საავადმყოფოდან კი ცოცხალი არავინ ბრუნდებოდა. ეს იცოდა ფედოსიმ და ამიტომ, როცა ტყვეების შემოწმების დრო მოაღწევდა, იგი ძალით წამოაყენებდა კატუშას ფეხზე, მერე კი მთელ ღამეებს ათევდა მის სარეცელთან. საჭირო იყო წამლები. მაგრამ როგორ უნდა ეშოვათ? ფედოსი ღამე ფორთხვით მიიპარა მავთულხლართებთან და ქუჩაში ალალბედზე გადაისროლა წერილი. მეორე დღეს ვიღაც მადლიანმა მთელი ყუთი წამლები გადმოყარა ბანაკის ეზოში... ალიოშა ჭანტურია და ფედოსი თავიანთ ულუფას ავადმყოფებს უზოგავდნენ. ავადმყოფებმა მოიკეთეს, მაგრამ თვითონ ფედოსი საოცრად დასუსტდა...

ერთხელ ალიოშამ ამბავი მოუტანა ფედოსის: ქალაქში ვეტექიმად კომუნისტი ალექსი კუზმინენკო მუშაობსო და მასთან კავშირის დამყარება იკისრა. ალექსი კუზმინენკო თავის მეუღლით იმ დროს მოვიდა ბანაკში, როცა ტყვეებს სხვადასხვა საკონცენტრაციო ბანაკებში აგზავნიდნენ. დედებს ხელიდან გლეჯდნენ შვილებს და გამწარებული ქალების წივილი იქაურობას აყრუებდა. ამ არეულ-დარეულობით ისარგებლა კუზმინენკომ და ფედოსი გააპარა.

კეთილმა ადამიანებმა შეიფარეს ქალი. ალექსის მეუღლემ კონსპირაციისათვის თმები შეუღება მას. ალექსიმ ყალბი პასპორტი უშოვა. მერე ფედოსი თავისუფლად დადიოდა ჟიტომირის ქუჩებში. პურის გამყიდველი რაისა ფედოროვიჩი ყოველდღე თითო ტომარა პურს აძლევდა. ამ პურს ფედოსი პარტიზანებს აწვდიდა. პოლიციამ შენიშნა იგი და თვალთვალი დაუწყო. ქალმა გადაწყვიტა გასცლოდა ჟიტომირს და პარტიზანებთან გადასულიყო. ცოლქმარი კუზმინენკოები გულდაგულ ამზადებდნენ მას, რომ იმ დღეს ჟიტომირში საშინელი ამბავი დატრიალდა: ფაშისტებმა შეიპყრეს პარტიზანი ძმები ჩიჩუები და მოედანზე ჩამოახრჩვეს. ქალაქში დაიწყო რბევა. ფედოსი მთელი თვე სარდაფში იმალებოდა...

მერე, როცა ფაშისტებისაგან გაიწმინდა ჟიტომირის მიწა, ფედოსი საქართველოში დაბრუნდა და ძველი პროფესია გაიხსენა. მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების კოლმეურნეობაში ვეტექიმად დანიშნეს. ზამთარში პალიასტომის ტბის მიდამოებში მიჰყვებოდა ფერმას, ზაფხულში ფერმასთან ერთად ბახმაროს მთებში იყო. და როცა სამოცი წელი ჩამოითვალა, ფედოსი დასასვენებლად პენსიაზე წავიდა.

ოლია დადიანი

ქეთევან ჭილაშვილი

# ბალზე

მწიფს ბალი, მწიფს! ხეზე შემომსხდარან გიო, თინა და შიო. იმათი წკრიალა სიმღერა სოფელს ეფინება. ხან პირს იტკბარუნებენ მწიფე ბალით, ხან ტოტებზე ჩამოკონწიალებულ პაწია კალათებში ჰყრიან.

აგერ, კენწეროზე სამი ჩიტუნა ჟივჟივით შემოჯდა.

— აბა, გიო, გამოიცან რას ჟღურტულებენ ჩიტუნები? — ჰკითხა ძმას შიომ.

— ჩვენც და-ძმანი ვართო! — შესძახა გიომ.

— არაფერიც; „ჩვენც ვიცით სიმღერაო“, — ყელი მოიღერა თინამ.

— ვერ გამოიცანით, — გადახედა და-ძმას შიომ. — იცით, რას ჟივჟივებენ? — სულ ნუ გაკრეფავთ, ცოტა ჩვენც დაგვიტოვეთო.

— დაგვეწვიეთ, დაგვეწვიეთ! — მიიპატიჟეს ყმაწვილებმა ჩიტუნები.

# ჩემი დაიკო

ოო, რომ იცოდეთ რა კუდრაჭა დაიკო მყავს, სულ ეშმაკობაში ამოსდის სული! ხან კალამს გადამიმალავს, ხან წიგნს, სახატავი რვეულები ხომ ერთიც აღარ შემარჩინა. ნეტავი სადღა მიაგნებს ხოლმე? სულ სუფთას, ახალთახალს დაითრევს, დაუსვამს იმ ბოხოხა ფანქარს, მუჭში რომ უჭირავს, და მიდი! გააბამს აბლაბუდას!

ჯერ გული მომივა, მინდა მივვარდე და კაწაწები დავაგლიჯო, მაგრამ ისეთი კეთილი და უწყინარი თვალებით შემომაჩერდება ხოლმე, რომ... გუშინ კი, ისე ძალიან გამაბრაზა, ერთი კარგად მივტყიპე და გავებუტე. ამდგარა და ჩემი საკლასო რვეულის ყდა სულ ჭრელ-ჭრელი ყვავილებით მოუხატავს! გავბრაზდებოდი, აბა, რა იქნებოდა? ჰოდა, ერთი თუ ორი, ერთი თუ ორი, სულ კაკლისოდენა ცრემლები ღვარა, გული მეტკინა, არც კი შევიმჩნიე; ესაოდა ძალიან ვუყვარვარ ჩემს ძმასაო, თავს გავიდა. მთელი საღამო ხან აქედან მომიარა, ხან იქიდან, პირი არ ვუჩვენე. ერთხელ და სამუდამოდ ჭკუა უნდა ვასწავლო. მივუჯექი ჩემს მაგიდას და წიგნი გადავშალე, ხან რა მომიტანა, ხან რა, ეგების დამელაპარაკოსო. ჯერ ბურთი დამიდო მაგიდაზე, მერე — ვაშლი. მაგრამ რაკი გავებუტე, გავებუტე! შუა კითხვაში ვარ და უცებ ნაზი სიმღერა შემომესმა, ჩემი დაიკოს საყვარელი სიმღერა: „ეს საწყალი კურდღელი ძლიერ ავად გამიხდა“. რომ იცოდეთ, რა ლამაზია ჩემი დაიკო სიმღერის დროს. გადარკალულ წარბებს მშვილდისარივით მოზიდავს ხოლმე, პირს შოშიასავით დააღებს და აწკრიალებს ხმას. ვითმინე, ვითმინე, ბოლოს გულმა ვეღარ გამიძლო და უჩუმრად გავხედე. ჩემს დაიკოს კურდღელი კალთაში ჩაესვა და ხელს უსვამდა.

ისეთი ნაზი, ისეთი სათნო იყო, რომ ამისთანა დაიკოს აბა როგორ უნდა გავებუტო? მივირბინე, თათოები დავუკოცნე და პირობა ჩამოვართვი, ჩემი რამეებისათვის ხელი აღარ ეხლო.

— აღარ ვახლებო, — ხელები გასავსავა და კისერზე ჩამომეკონწიალა.

მხატვარი ო. ჩხარტიშვილი



როსტომ ელანიძე

# თამაზის კატები

თამაზის ლერწამა კატამ საოცრად ლამაზი კნუტები დაყარა: ერთი მთლად ნაცრისფერი იყო, მეორე ყვითელი, მესამე ჭრელი.

თამაზმა ნახა თუ არა, სიხარულით ცას დაეწია, სამივენი ერთად ჩაბღუჯა და სამზარეულოდან თავის ოთახში გადაიყვანა. კარგად რომ დაათვალიერა და თვალებზე დახედა, უზომოდ შეწუხდა — არც ერთს თვალი არა ჰქონდა ახელილი, საცოდავად კნაოდნენ და თან აქეთ-იქით აწყდებოდნენ. ბევრი აწვალა, ხელში ატრიალა, მაგრამ აბა, რას უშველიდა? ბებია მაშომ ანუგეშა:

„კატები ასე თვალხუჭულები იბადებიან, სულ მალე გაახელენ თვალსა და ყველაფერს დაინახავენო“.

თამაზი მაინც შეწუხებული იყო, უნდოდა თავისი კატებისათვის დროზე რამე ეშველა.

იქვე, მათ მეზობლად, ცხოვრობდა ერთი სახელგანთქმული თვალის ექიმი. საღამოთი, როცა მან ავადმყოფების მიღება დაიწყო, თამაზმაც შეიყვანა თავისი უსინათლო კატები და შეეხვეწა:

— ძია დიმიტრი, ამათაც თვალები სტკივათ, ვერაფერს ხედავენ, მომირჩინეთ.

ექიმს ბავშვის საქციელზე გაეცინა. კნუტები სათითაოდ აიყვანა, თვალის ქუთუთოები გადაუწია, გარშემო რაღაც შავი წამალი წაუსვა და თან დააყოლა: თუ ამ რამდენიმე ხანში თვალები არ გამოაჭყიტეს შენმა კატებმა, კიდევ შემოიყვანე და უკეთეს წამალს წავუსვამო.

თამაზმა კნუტები კმაყოფილებით მიიხუტა გულზე და ბაჯბაჯით გავიდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მარად ცოცხალი

მე არა ვწერ ჩემი დიდი მასწავლებლის, მსოფლიოში ცხობილი ქართველი მეცნიერის — აკადემიკოს კორნელი კეკელიძის ბიოგრაფიას. ვერც მისი უზარმაზარი მეცნიერული პროდუქციის დახასიათებას ვიკისრებ. კორნელი კეკელიძის ცხოვრება და ნამუშაკევი ისე ვრცელი, ლამაზი და შინაარსიანია, რომ მისი მკვლევარნი უთუოდ გრძნობენ, რაც თქვეს, იმაზე მეტი უთქმელი დარჩათ. ეს დიდი მეცნიერი 90 წლის წინ დასავლეთ საქართველოს ერთ ლამაზ სოფელში—ტობანიერში დაიბადა. ქუთაისის ოთხკლასიან სასწავლებელში ჩარიცხვიდან, კიევის სასულიერო აკადემიის სიტყვიერების განყოფილების დამთავრებამდე, რჩეულმა ახალგაზრდამ გაბედულად გაიკვლია რთული გზა მეცნიერების მწვერვალებისაკენ. სიყრმიდანვე ვალად იდო გამოემზეურებინა მშობლიური კულტურა, პირველ რიგში გაეცნო იგი თანამემამულეთათვის, შემდეგ კი მისი დიდება მსოფლიოში გაეტანა. მჯერა, ეს საოცარი ენერგიის კაცი ახლაც ისეთივე გონებისა და ფხიზელი აზრისა იქნებოდა, როგორც მაშინ, ჩვენგან რომ წავიდა 82 წლის ასაკში. გამოთხოვებისას, მის სამუდამო სავანესთან, ჩვენმა სასიქადულო პოეტმა გიორგი ლეონიძემ თქვა: „ამ სამარით უნდა იამაყოს ერმა. ასეთი სამარეები ერის სიცოცხლეს ღაღადებენ".

ოთხასამდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორს სიკვდილი არ უწერია. მიწა ვერ მიიღებს დიდ ნამუშაკევს. სამარე მხოლოდ ცხედარს ფარავს, ხალხის ფილოსოფია „მიწა თავისას მოითხოვსო", ფიზიკური უკვდავების მაძიებელთათვისაა ნათქვამი.

იღბლიანია ძველი ქართული მწერლობა, კორნელი კეკელიძე რომ გამოუჩნდა ჭირისუფლად. სიკვდილი არ უწერია მას, ვინც მსოფლიო მეცნიერების ოქროს ფონდი გაამდიდრა ძველი ქართული მწერლობისადმი მიძღვნილი კაპიტალური ორტომეულით. მწერალმა ამ ნაშრომით წარმოაჩინა ქართველი ხალხის უკვდავ-უბერებელი შემოქმედება, მისი უმდიდრესი ლიტერატურული მემკვიდრეობა მეხუთე საუკუნიდან მეცხრამეტე საუკუნემდე. ეს ფუნდამენტური ნაშრომი აგებულია არა მხოლოდ გამოქვეყნებული და ცნობილი, არამედ არქივებში დაცული ნაკლებცნობილი, ან იქამდე სრულიად უცნობი ხელნაწერი ძეგლების ღრმა ანალიზზე. ამ დიდმა წიგნმა მაღალი შეფასება დაიმსახურა როგორც ჩვენში, ასევე უცხოეთში. მისი პირველი ნაწილი 1955 წელს გერმანულ ენაზე გამოიცა რომში. მსოფლიო მეცნიერების საგანძურშია ძველი და ახალი ქართული ლიტერატურისადმი, მშობლიური ზეპირსიტყვიერებისა და ბიზანტიური მწერლობისადმი მიძღვნილი ეტიუდების ათტომეული, ქართული მწერლობის კლასიკური ძეგლების თარგმანები რუსულ ენაზე და ვინ მოთვლის კიდევ რამდენი ბრწყინვალე ნარკვევი მკვლევარისა. დღეს რომ ჩვენი ქვეყნის დაშორებითაც იციან მნიშვნელობა ქართული ლიტერატურისა, მისი სათავეები, განვითარების გზები და პერიოდები, ეს, უპირველეს ყოვლისა, კორნელი კეკელიძის დამსახურებაა. კორნელი კეკელიძის ელვარე ნიჭმა მშობლიური ლიტერატურული ენისა და ისტორიის საკითხებიც გააშუქა. მეცნიერის დიდი პატრიოტიზმის ერთი მაგალითია ისიც, რომ მან შეასრულა რუსული თარგმანი მის მიერვე გამოცემული შესანიშნავი თხზულების — თამარ მეფის ისტორიისა „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი".

კორნელი კეკელიძე იმითაც არის უკვდავი, რომ იგი არის ერთ-ერთი ფუძემდებელი ქართული მეცნიერების ტაძრის — უნივერსიტეტისა, დამაარსებელი ძველი ქართული მწერლობის კათედრისა უნივერსიტეტში და შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტისა. ეს ჩინებული მკვლევარი ნახევარი საუკუნე დაუზარებლად და სიყვარულით ემსახურა ახალგაზრდობის აღზრდის უკეთილშობილეს საქმეს. მუდამ საზეიმო იქნება ერის უკვდავების ამ შესანიშნავი მესიტყვის დაბადების დღე. სიმბოლიურია, რომ ეს დღე აპრილშია—გაზაფხულის უმშვენიერეს თვეში.

კორნელი კეკელიძეს ბევრი მადლიერი მოწაფე ჰყავს. მეც ვარ მათ რიცხვში. მისი ლექციები მონოტონური იყო, ეფექტური ფრაზების გარეშე, მაგრამ ყველას იპყრობდა აზრის საოცარი სიღრმით. გამოცდაზე თვალდახუჭული გვისმენდა, ამით იგი თავის ოლიმპიურ სიმშვიდეს გადასდებდა აღელვებულ სტუდენტებს.

განსაკუთრებით მომხიბლავი იყო კორნელი კეკელიძის თავმდაბლობა, უზარმაზარი მასშტაბის მეცნიერი თავის დიდ ნამუშაკევს მუდამ მოკრძალებით აწვდიდა მკითხველსა თუ მსმენელს. აქ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ მისი შრომების პირველი მკითხველი მისი დიდად განათლებული მეუღლე იყო. არა ერთხელ ვყოფილვარ მოწმე იმისა, თუ რა დიდ ანგარიშს უწევდა ეს ბუმბერაზი მკვლევარი მის მოსაზრებებს ამა თუ იმ მეცნიერულ საკითხზე. ეს ჩინებული მეცნიერი და მოაზროვნე ზოგჯერ ბავშვივით მიამიტი იყო. მისი დიდი ძიების ერთი მხარე რომ შევაჯამე, გულწრფელად მითხრა:— ეს რა დაგიწერია, აბა ამდენი რა გავაკეთე ფოლკლორისტიკაშიო. თუმცა მეც გულწრფელად უნდა ვაღიარო — ვერ ვთქვი იმდენი და ისე, რაც უნდა თქმულიყო მის ბრწყინვალე დაკვირვებებზე ხალხური სიბრძნის სფეროში...

კორნელი კეკელიძე წარსულზე მეტად მომავალს ეკუთვნის. ერის სიცოცხლის მღაღადებელი მისი სამარე და ოლიმპოს ღმერთთა გარეგნობისა და დიდი სიბრძნის გამომხატველი მისი მონუმენტი უნივერსიტეტის ეზოში მუდამ შთააგონებს ჩვენს ახალგაზრდობას ჭეშმარიტი ძიებისათვის.

*ქსენია სიხარულიძე,*

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.



# იოსებ გრიშაშვილი

უკვე კარგახანია მას ველარ ვხედავთ რუსთაველის გამზირზე მსუბუქად მიმავალს. ველარ ვისმენთ მის განუმეორებელ ინტონაციას ლექსის კითხვისას. იოსებ გრიშაშვილი! — რამდენ თაობას გადაუშლია გულის ფანცქალით მისი ლექსის ტომეულები, საგანგებოდ გადაუწერია და ზეპირად დაუსწავლია. იშვიათია ბედი, რომელიც მას ერგო — ხარფუხელმა, სწავლას მოწყურებულმა ჭაბუკმა თავისი შემოქმედებით დაიპყრო ყოველი ქართველის გული. იგი ლექსის ჭეშმარიტი ტრფიალი იყო, თბილისის ამღერებული გული იყო და ამ დიდ სიყვარულს სიყვარულითვე იმკიდა. ხალხით სავსე დარბაზებში მისი გამოჩენა ტაშის ქუხილს იწვევდა, მას ცნობდნენ ქუჩებში, პიონერულ ბანაკებში, სკოლებში... იგი ყოველთვის მზად იყო მისულიყო თავის მკითხველებთან, მოესმინა მათთვის და თვითონაც ლექსით გაპასუხებოდა. დიდი სამამულო ომის დროს გრიშაშვილის ლექსი დიდად ამაღლებდა ადამიანებს, აგზნებდა მამულის სიყვარულით; განუზომელია მისი ღვაწლი ახალგაზრდა ლიტერატურული თაობის მიმართ. მას უყვარდა ახალგაზრდობა. მათი შემოქმედებიდან სტრიქონსაც არ ტოვებდა წაუკითხავს, ამხნევებდა და ალაღებდა ყველას, ვისაც კი ოდესმე მიუმართავს ამ სახელოვანი პოეტისათვის. ამიტომ, არ გვეგულება შემოქმედი, რომელსაც გრიშაშვილის გულის სითბო არ მოზიარებოდეს. დიდია ამ საოცარი კაცის დამსახურება საბავშვო მწერლობაში; იგი თითქმის პირველი ნაბიჯებიდანვე მიჰყვა ქართულ საბავშვო პოეზიას და გაამდიდრა თავისი განუმეორებელი ლექსით. ამ ლექსებმა თაობები აღზარდა და კიდევ დიდხანს იბრწყინებს პატიოსანი თვალივით.

წელს იგი ოთხმოცი წლის უნდა გამხდარიყო. ცოცხალი რომ იყოს, მისი წიგნებით სავსე მისი მზიანი ბინა ვერ დაიტევდა მისალოცად მისულ პატივისმცემლებს. ახლა კი მისი ხსოვნის შესაფერი აღნიშვნა მართებს ყველას, ვისაც უყვარს ჩვენი მშობლიური ლიტერატურა, ვისაც უყვარს ქართული ლექსი.

ნაზი კილასონია

# ნედლი სალამურები

ავთანდილ ვართაგავა

## ზემოიმერული ჩანახატები

* * *

ახლა ყვირილა ისე გამწარდა,
რომ დაიხია მთელი საყელო.
მოდი, მოვაბათ ფეხში ბაწარი
და მუხასავით წამოვაყენოთ.
ჩვენ ახლა ვდგავართ ცერა კაცები
და გვეშინია მეხის დაცემის,
ჰგვანან ხის ტოტებს შენაკადები
უკვირტოსა და ფოთლებდაცვენილს.
იბადებიან მდინარეები
და არ კვდებიან აღარასოდეს,
უნდა იცოცხლონ წელი იმდენი
რომ დაბადებაც აღარ ახსოვდეთ.

2.

მთვარემ სხივები დაითაველა
და რქანამგალას აღარ ვადარებ.
ხარებო, ნუკი გამათამამებთ
და სიყვარულით ნუკი გადამრევთ.
თქვენი ბღავილი რეკავს ყურებში,
ხარებო, მართლა არ გადამრიოთ,
ვიხრები, რომ თქვენს ნაფეხურებში
მე ნაწვიმარი წყალი დავლიო.

## დილის საყვირები

მე შენი სულის დროშას ვატარებ,
გამარჯვებული მიწის მაყარო,
ისე დიდი ხარ, რომ სიკვდილამდე
ველარ დაგიტევს ჩემი სამყარო.
გაშალე გულის ყველა ფიცარი
და სარკეებად ხატე რვეულზე,
რომ მიწყივ წაჰყვეს სუნი ფოლადის
შენი ეტრატის ათასწლეულებს.
თოვლით გათელილ მაღალ ჭიუხებს,
ომში დახოცილ ყველა მარაბდელს, —
მიუტან შენი დილის საყვირებს,
რაც არ სმენიათ მთაში მანამდე.
აივსე ნისლის ნაკადულებით,
და ვენახებში ჟაზი გიტირის...
გამარჯვებული მოხვალ მაყარი —
დაუნგრეველი სულის ქვიტკირი.

ტარიელ ვართაგავა

## ცისფერი რამაიდა

მიმინოსწყალთან ლურჯი ბაია,
როცა აპრილის კაბით გაიარს,
ეს ეტალონი იქნება ლექსის,
რის ია-ია, რა ია-ია.
...ის ახლა გზაზე მიიკვანწება,
მზეთუნახავი მზით და გზებითა,
და ძუ ლომები ხტებიან შლეგად
მისი თვალების ჰიპნოზებიდან;
არ აოცებდა მზე მღერთბაში,
უცოდველი მზის არიარალე,
ის მიდიოდა ფარვანას ფრთებით —
შიშველი ტანი და მონარნარე.
..და დაუსტვინა იისფერ ღრუბლებს,
ცხრამთის გადაღმა გადაკარგულებს,
და ენძელებით დაწერილ მაისს
ლამის სასტიკი ბედი არგუნეს.
წვიმს ახლა შლეგად და იარტანის
ტანი ამ წვიმას არ იკარებდა.
მე კი ვიდექი, ვინძლო ქარისგან
დამფრთხალი წვიმა გადიკარებდა.
საღამოისას სიასამურის
და დალალების ქარით გრილოდა,
და მოდიოდა სხვა აღტაცება
ჩემი ოცნების სააპრილოდან.

## ფერადი აპრილები

შადრევნებია ბაღში იების,
ეს აპრილების, ვიცი, ბრალია...
მზის ორღობეში ბუღრაობს ქარი
და სულში რითმის ნახანძრალია.
ბუღრაობს ქარი, რომელსაც მინდვრის
ია-იები არ უჭერიან,
ბევრი ზმანება მან გადარეკა,
მაგრამ აქამდე დაუსჯელია.

## შადრევნები

მთვარე დაეშვა, ვით მაგნოლია,
სპილოსძვლისფერი საყდრის კარებთან,
ულამაზესი თვალების წარღვნად,
აულებელი ციხე გარედან.
მაგრამ ყოველი ჰგავდა სიცოცხლეს,
რაც იზრდებოდა მარჯნის ყანებთან,
და პოეზია ფერად აპრილებს
მზის შადრევნებში მიაქანებდა.
შენ ვერ გაიგებ ფერთა მაგიას
და ყველაფერი საოცრად გიკვირს:
ახლა ათასჯერ ვარ ტარიელი
და მიწოდებენ ქმნილების გვირგვინს.
ვცხოვრობ იებით მთვრალ მაისებთან,
ცისარტყელებით ვინათებ კერას
და ვაფერადებ მინდვრის ყვავილებს
წაუბილწავი მუხლების ფერად.

ცნობილ ქართველ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს იპოლიტე ვართაგავას ტყუპი შვილიშვილი დარჩა — ტარიელი და ავთანდილი. ადრე დაობლებული ბავშვები ბაბუამ თავად აღზარდა და იმთავითვე ჩააგონა სამშობლოსა და მშობლიური ლიტერატურის, ხელოვნების სიყვარული. ეს სიყვარული ჟონავს იმ ხატოვან ლექსებშიც, რომლებსაც დღეს საჭაშნიკოდ ვთავაზობთ მკითხველს.

# ვისაუბროთ ბავშვის აღზრდის საკითხებზე

# ლაპარაკობენ:



გ. ჯანიშვილი,
პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

მამისა და შვილის ურთიერთობაზე მინდა მოგახსენოთ. სამწუხაროდ, ჩვენს სინამდვილეში ოჯახში, განსაკუთრებით კი ბავშვის აღზრდით, ნაკლებად არიან დასაქმებული მამები. ამ უკანასკნელთ, რატომღაც, მოჩლუნგებული აქვთ შვილის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობა, და მთელი სიმძიმე აღზრდისა დედისთვის აქვთ გადაბარებული. ნუ მიწყენენ ჩვენი მამაკაცები (რა თქმა უნდა, ყველა არა მყავს მხედველობაში) და ეს არც თუ მაღალ კულტურაზე მეტყველებს. სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, მამას, რომელიც ოჯახური წვრილმანებისაგან, ასე თუ ისე, განთავისუფლებულია, უფრო მეტი დრო აქვს შვილთან ურთიერთობის დასამყარებლად. მამის მეგობრობა და სიახლოვე განსაკუთრებით საჭიროა ვაჟებთან (ძნელადაღსაზრდელები კი მეტწილად სწორედ ვაჟები არიან). ვაჟიშვილი ხომ მომავალი მამაკაცია! — ფეხბურთი, ჭადრაკი, სპორტის ყველა სახეობა დიდად აახლოებს მამა-შვილს.

ხუმრობაა! მისი მამა ყველაზე ჭკვიანია, ყველაზე ღონიერი! შვილი მტკიცედ ექცევა მამის გავლენის ქვეშ. და თუ მამა მართლაც ღირსეული მისაბაძი ობიექტია, შვილი გზას არასდროს არ აცდება.

რატომ არ შეუძლია ყველა მამას სისტემატურად ატაროს შვილები კინოში-თეატრში, მუზეუმებში და სხვა გასართობ ადგილებში,ააცდინოს ისინი შემთხვევით შთაბეჭდილებებს, სწორად გაუმარტოს ნახული და გაგონილი, შეურჩიოს წასაკითხი ლიტერატურა?

თუ კი მამა უმცროსი ასაკიდანვე დაიპყრობს შვილის გულს, იგი ბოლომდე მისი მეგობარი იქნება. მათ არასოდეს არ გამოელევათ სუფთა მამაკაცური სასაუბრო-ამბავი. სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, ვაჟიშვილის ფიზიოლოგიური განვითარების საფეხურები მამის დაკვირვებულ, ფხიზელ თვალს და მეგობრულ გულს მოითხოვს.

პროფესორი შ. ჩხარტიშვილი



არც თუ ისე იშვიათად, ოჯახში ვხედავთ ასეთ სურათს: ცხოვრების საუკეთესო პირობები და... ერთი ბავშვი, მხოლოდ ერთი ბავშვი. ეს ეგოიზმთან ერთად უდიდესი დანაშაულია, დანაშაულია საზოგადოების მიმართ, ბავშვის მიმართ. დიდ ოჯახებში, მრავალ და-ძმას შორის უფრო ნაკლებად შეხვდებით გათამამებას, ჭირვეულობას, კაპრიზებს, პრეტენზიებს... ამ მხრივ, სოფლად უკეთესი მდგომარეობაა ამასთან ერთად, იქ კარგადაა შრომა განაწილებული ოჯახის წევრებს შორის. მოზარდს ებადება სურვილი არ დარჩეს უსაქმოდ, გაანძრიოს ხელი, გააკეთოს, რისი გაკეთებაც შეუძლია. ამით მოზარდი იწრთობა მაღალი, შრომით აღსავსე ცხოვრებისათვის.

ზოგჯერ გათამამებას სკოლაშიც აქვს ადგილი. რა ვუთხრათ მოსწავლეს, რომელიც ხედავს, რომ მასწავლებელი ერთმანეთისაგან ანსხვავებს მოსწავლეებს, არათანაბრად აფასებს ცოდნას, არათანაბრად სჯის? არა, ჩვენ არ უარვყოფთ, რომ არიან ბავშვები, რომლებიც ძნელად სწავლობენ, მაგრამ საჭიროა ძირისძირობამდე დავინტერესდეთ, რა უშლის ბავშვს ხელს მასალის ათვისებაში. იქნებ იგი ნიჭიერია, მაგრამ ოჯახში არა აქვს მეცადინეობის აუცილებელი პირობები. პედაგოგსაც შევხედოთ კრიტიკული თვალით, იქნებ არც ის დგას სათანადო სიმაღლეზე? ამრიგად, ძალიან დიდი სიფრთხილე, მონდომება და გულისხმიერებაა საჭირო, როდესაც საკითხი ახალგაზრდობის აღზრდას ეხება.

ეროვნული ბიბლიოთეკა



პროფესორი ბ. ბანძელაძე

აქ უკვე იყო ლაპარაკი იმაზე, რომ ბავშვის აღზრდაში გარემოს დიდი და გადამწყვეტი როლი აქვს. ჩვენი ამოცანა — აღვზარდოთ კარგად, ნიშნავს იმასაც, რომ თავიდანვე აღმოვფხვრათ ჩვენში თუ გარემოში ნაკლოვანებები. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ გვქონდეს ნაკლოვანებებთან ბრძოლის პირობები. ბავშვი არამც და არამც არ უნდა ხედავდეს რაიმე ნაკლს უფროსებში, ოჯახში, გარემოცვაში.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენს პედაგოგიურ კადრებს; განა ყველა ოჯახს აქვს იმის საშუალება თუ უნარი, რომ ასწავლოს ბავშვს ქცევის ელემენტარული წესები, ეთიკა?! სკოლაში კი, ყოფაქცევის შეფასებისას მექანიკურად დასმული ხუთიანი, არაფერს ნიშნავს. ჩვენი მოსაზრებაა, აუცილებლად დაინერგოს საშუალო სასწავლებლებში ეთიკის, ფსიქოლოგიის, ლოგიკის სწავლება. თუმცა, სამწუხაროდ, ეს მთლიანად ვერ გამოასწორებს საქმეს: ხომ არიან ძნელად აღსაზრდელი ბავშვები?

მოვიფიქროთ, გადავხედოთ ამ მიმართულებით ისტორიას, წარსულის ცნობილ პედაგოგთა გამოცდილებას; აღვადგინოთ, მაგალითად, სპეციალური სკოლა, ან რაიმე საზოგადოებრივი დაწესებულება, ასეთი ბავშვებისათვის, ოღონდ ისე, რომ ეს სკოლა თუ დაწესებულება იდგეს მეცნიერების თანამედროვე დონეზე, დაკომპლექტდეს სპეციალური კადრებით.



რ. კერესელიძე
მშობელი

ამ თათბირზე მე მშობელთა მრავალათასიანი არმიის ერთ-ერთ წარმომადგენლად გეახელით.

მინდა ჩემი გამოცდილება გავუზიარო ჟურნალ „საქართველოს ქალის“ მკითხველებს.

აქ მთელი სიმწვავით იდგა საკითხი ძნელად აღსაზრდელი ბავშვების გამო. რატომ გვეყვანან ისინი და რამ გამოიწვია მათი გზიდან აცდენა?! — რა თქმა უნდა, ოჯახმა და სკოლამ. ამ ბავშვებზე პასუხისმგებლობას ვერც ერთი აიცილებს და ვერც მეორე.

კარგად, გონივრულად ორგანიზებულ ოჯახს, შეთანხმებულ, მეგობრულ ცოლ-ქმარს კარგი შვილი ეზრდება. ზოგიერთს კარგი ოჯახი ის ჰგონია, თუ მატერიალურად ყველაფერი რიგზე აქვს და არც აყალმაყალია ცოლ-ქმარს შორის. კარგი ოჯახი ის არის, სადაც ყოველგვარი პირობაა შვილების აღსაზრდელად; უპირველეს ყოვლისა, როცა თვითონ მშობლები არიან აღზრდილნი, აქვთ პედაგოგიური ტაქტი და ალღო. თუ ზოგიერთს ეს აკლია, კეთილი ინებონ, აღზარდონ საკუთარი თავი. ალბათ, ბევრს გინახავთ, სკოლიდან მომავალი დედა-შვილი, ან ბებია-შვილიშვილი. ბავშვი თავისუფლად მოკუნტრუშობს, დედას ან ბებიას კი თავის ბაზრის ჩანთასთან ერთად შვილის მძიმე ჩანთა ამოუღლიავებია და ძლივს მოლასლასებს. სამაგიეროდ ალერსით შეჰყურებს მოკუნტრუშე შვილს და კმაყოფილია, რომ ისედაც „ამდენი გაკვეთილებით გადაქანცულ ბავშვს შრომა გაუადვილა!“ იგი რომ იმ წუთას შეაჩეროთ და უთხრათ, რომ მან, თავისი, თუნდაც დღევანდელი საქციელით, წვლილი შეიტანა მომავალი უქნარასა და ეგოისტის ჩამოყალიბების საქმეში, შეიძლება დიდად გაოცდეს და განაწყენდეს.

მე პირადად ვხელმძღვანელობ პრინციპით: შრომა და მხოლოდ შრომა. ყოფილა შემთხვევა, ჩემს რომელიმე გოგონას გაკვეთილების დამზადება ვერ მოუსწრია (ვცდილობთ ისინი ოჯახურ საქმეებშიც ჩავრიოთ), ამიტომ გვიანამდე არ დაწოლილა და დილით ადრე ამდგარა. საჭიროა ბავშვი თავიდანვე მივაჩვიოთ შრომითი სიძნელეების გადალახვას. ეს მათ ხასიათსა და ნებისყოფას აწრთობს და ამტკიცებს. თუ ბავშვი ყველა ოჯახურ და სასკოლო დავალებას პუნქტუალურად ასრულებს, მტკიცედ იცავს რეჟიმს, არ დარჩება დრო უქმად ყოფნისათვის და შემთხვევითი ნაცნობობისათვის, რაც ხშირად გზიდან აცდენის მთავარ მიზეზად იქცევა ხოლმე.

# გაცოცხლდა წარსულის სურათები

ისინი ხუთნი არიან:

თამარ ხელაშვილი, ნინო კოჭლამაზაშვილი, სიდონია ქურდიანი, თამარ ფერაძე, ჟულიეტა გრძელიშვილი.

მათი დევიზი მუდამ ეს იყო: „მთავარია, არა რამდენხანს იცხოვრებ, არამედ — როგორ იცხოვრებ“.

მათ დიდიხნის წინათ აირჩიეს მასწავლებლის ძნელი პროფესია და ამ დიდ საქმეს ათეული წლები შეალიეს.

ხანგრძლივი მოღვაწეობის შემდეგ ისინი ვალმოხდილნი წარსდგნენ საზოგადოების წინაშე. ამაზე მეტყველებს რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის წოდება თამარ ხელაშვილს, ნინო კოჭლამაზაშვილს, სიდონია ქურდიანს, თამარ ფერაძეს რომ მიენიჭათ; ამაზე მეტყველებს ლენინის ორდენი, რომელსაც თამარ ხელაშვილი ატარებს. ქართველი ფიზიკოსი ქალების მიზანი მუდამ იყო სამყაროს შეცნობა, მისი საიდუმლოების გაგება. მათ დიდი ზეგავლენა მოახდინეს თავიანთ აღზრდილთა აზროვნების ჩამოყალიბებაზე. ისინი პირადი მაგალითით უღვივებდნენ მოსწავლეებს შრომისადმი სიყვარულს. საქართველოს რომელ კუთხეში არ მოღვაწეობენ ახლა მათი აღზრდილები!

აღზრდილებს დღესაც ახსოვთ ბუნების საიდუმლოებათა გაგების ის სიხარული, რაც მასწავლებლებისაგან გაკვეთილებზე მიიღეს.

დარბაზში შეკრებილთაგან ბევრი იყო მათი თავდადებული შრომის მოწმე. დიდი ენთუზიაზმით და მადლიერების გრძნობით აღნიშნავდა მათ ღვაწლს მოგონებით გამოსული თითოეული მეგობარი. იუბილართა წარმოდგენაში გაცოცხლდა წარსულის სურათები, პირველი გაკვეთილი. როგორ თანდათან ემატებოდა მათ ცნობიერებას მოსწავლეთა ახალი სახეები! როგორ მეტნაკლებად ჰგავდნენ დღეები ერთმანეთს თავისი დარით თუ უამინდობით, წინააღმდეგობებით თუ სიხარულით!

ახლაც გულმხურვალედ ეკიდებიან ისინი იმ საქმეს, რომელსაც ამდენი წლები ემსახურნენ, ხშირი და სასურველი სტუმრები არიან იმ სკოლებისა, სადაც ბოლო პერიოდში მოუხდათ მოღვაწეობა, ხალისით უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას ახალგაზრდა მასწავლებლებს.

მ. გოგუაძე

# [illegible]

თვითმფრინავი აეროდრომს მოსწყდა და გეზი მოსკოვისკენ აიღო.

უკან ძვირფას მოგონებად დარჩა 20 ზღაპრული დღე: კონფერენცია, შეხვედრები, ექსკურსიები, დარბაზობანი... 20 დღე უცხოელი მეგობრების წრეში, სადაც მასპინძლები სტუმართმოყვარეობაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ.

და მაინც...

— შინისაკენ, შინისაკენ, შინისაკენ! — სიხარულით ავხმაურდით 8 ქალი, — საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხის და მაინც ერთი დიდი სამშობლოს შვილები.

ეს იყო რამდენიმე წლის წინ.

...ახლა მატარებელი საკუთრივ ჩემს „შინს" უახლოვდება, მწვანედ, წითლად, ყვითლად, სოსანისფრად აყვავებულ ველ-მინდვრებით საქართველოს შუაგულისაკენ მოიწევს:

თავს ზოგან მწვანეში ჩამსხდარნი, ზოგან რუხ ფრიალოზე წამომართული მონასტრები და ციხე-კოშკთა ნანგრევები გადმოგვცქერიან.

ეს საკუთრივ ჩემი „შინაა", სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ, ჩემი დედა, მრავალათასწელგამოვლილი და მაინც ახალგაზრდა, მრავალჭირნახული და მაინც ხალისიანი, მებრძოლი და მშრომელი, მომლხენი და სტუმართმოყვარე.

ჩემი „შინ!"

რამდენი სითბოა, რამდენი ძალა ამ ერთ პატარა სიტყვაში — „შინ!" და, უნებლიედ, ტკივილად გამკენწლავს ფიქრი ადამიანებზე, ვისაც ეს „შინ" არ გააჩნია, ვისაც ბედმა უკუღმართი ხელით მიაწერა „უსამშობლონი".

გაზაფხულის კეთილი, ხალისიანი დილაა და, შინ დაბრუნების ღელვით ავსებულნი, კუპეებში ველარ ვჩერდებით, ტალანში, ფანჯრებთან ჯგუფ-ჯგუფად ვდგავართ.

— კიდევ ბევრი რამით გავაოცებთ! ასე არაა, ქალბატონო? — მომმართა მეზობელ სარკმელთან მდგომმა უცნობმა ახალგაზრდამ.

— ?

— უცხოელებს-მეთქი.

— საინტერესოა!

— საქმე იმაშია, რომ, — წამოიწყო მისმა თანამოსაუბრემ.

— მე თვითონ! საქმე იმაშია, რომ ამ რამდენიმე დღის წინ, ერთი სიტყვით, აქეთ გამომგზავრების წინ, ჩემს ჩემოდანში შემთხვევით ჩარჩენილი ერთი ლიტრი 60°-იანი არაყი აღმოვაჩინე. მოგეცათ ლხენა, იმ „აღმოჩენილით" უცხოელები გავაკვირვე: ჯერ არყის ალზე, ყველას თვალწინ ერბო-კვერცხი მოვტაფე, შემდეგ ერთი ჩაის ჭიქა სულმოუთქმელად გადავკარი, ისევ შევავსე და მეზობელ მაგიდასთან მსხდომ უცხოელებს გადავულოცე.

— დალიეს?

— პირიც ვერავინ დააკარა, გულიანად კი იცინეს.

— გასაგებია.

— ჰოდა, იმ ჭიქა არაყით რუსთაველის სადღეგრძელო გავახელით და ზედ ჩვენებური, ქართული ანდაზაც დავაყოლე: „სადაც თქვენი დაიკვეხნოთ, იქ ჩვენიცა სთქვით-მეთქი" — თავმომწონედ დაუმატა და ისევ მეგობრებს მიუბრუნდა.

ამ ამბავმა რამდენიმე შემთხვევა მომაგონა:

...მოსკოვის ერთ-ერთი დიდი კინოთეატრი.

ჯერ კიდევ ფოიეში პროფესორ ქეთევან ლ-ძის და ჩემი ყურადღება ორმა ახალგაზრდა თანამემამულემ მიიპყრო. ის იყო, მათი მისამართით კეთილი სიტყვის თქმა დავაპირეთ, რომ შევნიშნეთ: გამვლელ-გამომვლელს რაღაცას ეუბნებოდნენ და ისინიც შიშით თუ გაოცებით შეაფეთებდნენ ხოლმე თვალებს. დავინტერესდით. სეანსიც დაიწყო, ის ყმაწვილები სწორედ ჩვენს მომდევნო რიგში აღმოჩნდნენ და... სად იყო ასეთი ბილწსიტყვაობა, რომელსაც დროდადრო ჩვენი უძველესი კულტურითა და რუსთაველით თავმოწონება ენაცვლებოდა...

და როდესაც აღშფოთებულებმა მათს უხამსობაზე მივუთითეთ, ეტყობა, ისეთი უხერხულობა იგრძნეს, რომ შუქის ანთებისას მათი სკამები ცარიელი აღმოჩნდა.

...რუსთაველის გამზირზე მომავალ უცხო ეროვნების ქალს ვიღაც შეზარხოშებული „ტარიელი" მკლავგაშლილი, „გენაცვალეს" შეძახილით გადაეღობა და როდესაც საფასურად ეპიტეტი „დიკარ" მიიღო, კარგახანს ბობოქრობდა: როგორ აკადრეს „ველური" რუსთაველის შთამომავალს.

...მოსკოვის ცენტრალური ბაზარი.

ბრგე ქართველ ვაჟკაცს ყვავილები უჭირავს ხელში და მყიდველებს უხმობს: „ცვეტი იზ როდინი რუსტაველი".

მოშორებით ვიღაც ქალი (ქართველი ქალი!) მწიფე ტყემალს — „სლივა იზ გრუზიი" ჰყიდის, იქით — ვაშლს — „იაბლოკი იზ სამტრედია" და, ასე გასინჯეთ, რამდენიმე შავგვრემანი არაქართველი სპეკულანტიც ქართველობას იჩემებს — ეტყობა, თავისი რესპუბლიკის სახელს უფრთხილდებიან და რაც ძალი და ღონე აქვთ გაჰყვირიან: „აბრიკოსი იზ კუტაისი", „გრუში იზ გრუზიი"... მათ კოლეგებს, ჩვენს თანამემამულეებს კი ეს სასაცილოდ არ ჰყოფნით...

და ერთ-ერთს რომ შევეკითხე, რა აცინებს, რა უხარია, მიპასუხა: „რატომ არ უნდა მიხაროდეს, თუ ჩემი ქვეყნით სხვაც თავს იწონებსო"

მოწონებაცაა და მოწონებაც!

„ავი შვილი დედ-მამის მაგინებელიაო", მაგრამ, აბა, შებედეთ ამ საუბრის რომელიმე გმირს და უთხარით, რომ ის თავისი ერის მაგინებელია! ყური უგდეთ მის მაღალფარდოვან სადღეგრძელოებს, მოისმინეთ როგორ იწონებს თავს ჩვენი მრავალსაუკუნოვანი კულტურით...

და, მართლაც, განა ცოტა გვაქვს თავმოსაწონი? იყალთო და გელათი, ვარძია და სვეტიცხოველი — მთლიანად მთელი ჩვენი ქვეყანა — მუზეუმი თავისი ძველი და ახალი კულტურის ძეგლებით, მართლაც მზისა და ყვავილების ქვეყანა, რომლის ამ პატარა ტერიტორიაზე წლის ყოველ დროს შეგიძლია ისე გადაინაცვლო, არც სიცხემ შეგაწუხოს, არც სიცივემ; ჩვენი რიგითი გლეხი — კოლმეურნე თავისი თანდაყოლილი კულტურით: სიბრძნით, ზრდილობითა და სიტყვა-პასუხით; ჩვენი სახლკარი — ლაზათიანად მორთულ-მოკაზმული და გამრჯე მარჯვენით აყვავებული, ჩვენი მცი-

რერიცხოვანი ერის ხვედრითი წონა გონების, ფიზიკური ძალის და ოსტატობის მსოფლიო ასპარეზობაში.

მჯერა, ამ თხრობის გმირმა (№ 1-მა) მართლაც გააოცა უცხოელები, როდესაც ორი ჩაის ჭიქა „ცეცხლი" სულმოუთქმელად გადაყლაპა, მაგრამ რა აქვს საერთო ამ „გმირობას" რუსთაველთან და საქართველოს უძველეს კულტურასთან?

საკოლმეურნეო ბაზრებზე პროდუქტების ყიდვა-გაყიდვა საერთოდ ნებადართულია, მაგრამ როდესაც სხვა რესპუბლიკების ბაზრებზე ცეცხლის ფასად ვყიდით ყვავილებსა და ტყემალს, ან ხულიგნური მოქმედებით შეურაცხვყოფთ საკუთარ თავსა და ოჯახს, მოდით, ჩვენი ხალხის წმიდათაწმიდით თავმოწონებას მაინც დავანებოთ თავი და ეს საქმე მათ მივანდოთ, ვინც თავისი ნიჭით, თავდაუზოგავი შრომითა და ზოგჯერ სიცოცხლის ფასადაც მატებს შუქსა და ელვარებას იმ გვირგვინს, საქართველოს ცას რომ ეძახიან.

ამას წინათ, ერთ ოჯახში უცხო სტუმარი მივიყვანე. ჭიშკართან მსუბუქი მანქანა, ეზო-ხეხილის ბაღი და ყვავილნარი, სუფთა, გემოვნებით მორთული დარბაზები.

დიდებული პურ-მარილით დატვირთული სუფრის თავში ახალგაზრდა, ჯანღონით სავსე, კეთილი და სტუმართმოყვარე მასპინძელი იჯდა, კედლიდან კი მისი წინაპრები გადმოგვცქეროდნენ. ოჯახის უფროსმა განსაკუთრებული სასმისით შესვა თავისი ბებიისა და ბაბუის მოსაგონარი, რომლებსაც თექვსმეტი შვილი გამოუზრდიათ, და გულაჩვილებული მოგვითხრობდა მათს გაჭირვებულ ცხოვრებაზე.

სტუმარი დაინტერესდა, რამდენი შვილი ჰყავს მასპინძელს და როდესაც გაიგო, რომ ერთი, სამართლიანად შენიშნა:

„ჭკვიანი და მდიდარი ბებია და ბაბუა გყოლიათ".

მართლაც და ამ სიბრძნემ, ჭკუამ, შორსმჭვრეტელობამ, კარგისა და ავის, მტრისა და მოყვრის გარჩევის უნარმა, და, რაც მთავარია, ყოველი ფუძის გაძლიერება-გამრავლების ა უ ც ი ლ ე ბ ლ ო ბ ი ს შეგნებამ გადაარჩინა ჩვენი ერი განადგურებას...

რა სიამაყით გვევსებოდა გული, დიდი რუსთაველის რვაასწლოვან იუბილეს დღეებში, ხოტბას რომ ასხამდნენ ჩვენს ქვეყანას, ხალხს, მის მაღალ კულტურას და დიდ სიცოცხლისუნარიანობას მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული სტუმრები.

გვჯერა, კიდევ ბევრ გასაოცარს მოუთხრობენ მსოფლიოს ჩვენი ისტორიკოსები, არქეოლოგები...

სტუმართმოყვარეობითაც კანონიერად ვიწონებთ თავს!

თბილია, კეთილი და რბილი საქართველოს მიწა ყველასათვის, ვინც ალალი გულით მასზე ფეხს დაადგამს.

ამიტომ მოსულან საქართველოში თავისი დიდი ცხოვრების გზის დასაწყისში თუ უამინდობის დღეებში რუსული კულტურის კორიფეები მოსულან ჩვენი უახლოესი მეზობლები — სომხები, აზერბაიჯანელები. და ჩვენც სიამაყით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მათი დიდების გვირგვინს ჩვენი მიწის თითო-ორი ყვავილი მაინც ურევია.

ჩვენ გვწამს ჩვენი ერის დიდი მომავლისა!

წინ დიდი შემოქმედებითი გზაა, დიდი ასპარეზობანი, რომელშიც წილხვედრ ადგილს დაიმკვიდრებს საქართველოს მეცნიერება, ხელოვნება, ლიტერატურა, სპორტი.

ეს გვჯერა და ვამაყობთ!

ვერც გაიზრდება ერი ამ კანონიერი სიამაყისა და რწმენის გარეშე! ვისაც საკუთარი ენა, კერა ვერ შეუცვნია და შეუტკბია, ვერც სხვისას შეიტკბობს და შეიყვარებს.

პატივი ეცი შენს ოჯახს, მეზობელსა და მოკეთეს, მტერს — მტრულად დახვდი, მოყვარეს—მოყვრულად!

„ერის წყლული გაჩნდეს წყლულად", მაგრამ ნურც მეგობრის და მეზობლის გაჭირვებას მოუხუჭავ თვალს...

ასე ცხოვრობდა, ასე ცხოვრობს, ამ პრინციპებით განაგრძობს ცხოვრებას ჩვენი ხალხი.

ასე შერწყმულა მასში დიდი ეროვნული და ინტერნაციონალური, ამიტომ გვჯერა მისი მომავლისა და კანონიერი სიამაყით გვევსება გული.

**მარიკა ბარათაშვილი**

ქეთინოს ბებია მორწმუნე ქალი გახლდათ და ყოველნაირად ცდილობდა ქეთინოსთვის ღვთისადმი სასოება ჩაენერგა. ხშირად უყვებოდა სხვადასხვა რელიგიურ მითებს ღმერთისა და ანგელოზების ცხოვრებიდან. ბავშვიც გატაცებით უგდებდა ყურს. ერთხელ ბებია ქეთინოს მოუყვა, თუ როგორ შეეცადა მამა მოეკლა ერთადერთი საყვარელი შვილი, მხოლოდ იმიტომ, რომ ღვთისადმი ერთგულება დაემტკიცებინა. ბავშვზე ამ ამბავმა საშინლად იმოქმედა; დასიზმრდა შიში და მშობლებს დიდი დრო დასჭირდათ, რომ ბავშვისათვის ეს მძიმე შთაბეჭდილება გაექარწყლებინათ.

...მოხუცმა ბებიამ ეკლესიაში პატარა ბიჭუნა წაიყვანა, ხატის წინ სანთლები დაანთო, ბავშვს ასწავლა, პირჯვარი როგორ გამოესახა და მოსთხოვა ხატებს მთხვეოდა.

ბიჭუნამ ხატის დანახვაზე ჰკითხა ბებიას:

— ვისი სურათია?

— ღმერთის.

— ღმერთი სად ცხოვრობს?

— ცაში.

— მაღლა?

— მაღლა.

— რაკეტა მიაღწევს იქამდე?

ღიმილის მომგვრელი მაგალითია, აქ ერთმანეთს ეჯახება ღმერთი და კოსმოსური რაკეტა. გაივლის დრო და შეიძლება ამ პატარას თვითონ მოუხდეს კოსმოსური ხომალდით მოგზაურობა. მაშინ ხომ უდაოდ მოელის მარცხი ღმერთს? მაგრამ სანამ იგი ბავშვია? სანამ ხომალდში არ ჩამჯდარა?..

შარშანწინ ბორჯომში ახალუხნელმა მორწმუნეებმა „მარიამობა" აღნიშნეს. პატარა სამლოცველოში ბლომად მოიყვანეს შესაწირი საკლავიც. სამწუხაროდ, ამ მახინჯი რელიგიური რიტუალის შესრულებაში მონაწილეობდნენ ბავშვები და მოზარდები.

ან კიდევ, განა რელიგიური გავლენით არ იზრდებიან ბავშვები და მოზარდები, რომელთაც მორწმუნე მშობლები გამოცდაზე წასვლის წინ აცმევენ „ბედნიერ კაბას", „ბედნიერ წინდებს", „ნათლავენ", „აქრისტიანებენ" და სხვა?

ჩვენ ხშირად დამშვიდებით შევყურებთ ასეთ ფაქტებს, ვფიქრობთ, რომ, ვიდრე ისინი ბავშვები არიან, ეს არაფერია, შემდეგ თვითონვე გაერკვევიან ღმერთისა და რელიგიური რწმენის მავნეობის საკითხებში, მაგრამ ეს ასე არ არის. ბავშვობის ასაკში მეხსიერება მძაფრად ისრუტავს ბევრ შთაბეჭდილებას, აგროვებს მასალას, რომელიც სამუდამო გავლენას ახდენს მასზე. ბავშვობის მოგონებები შეიძლება თანდათანობით აღდგეს და ადამიანი ეკლესიასა და მის მავნე წეს-ჩვეულებებს დაუბრუნდეს.

ამ ბოლო დროს ზოგიერთი ახალგაზრდა რელიგიურ სამკაულებს ატარებს, სჯერა მათი ჯადოსნური ძალა, ქორწინდება ეკლესიაში, ასრულებს სხვადასხვა რელიგიურ წესჩვეულებებს და წარსულის მავნე ტრადიციების ტყვეობაში იმყოფება. ყოველივე ამის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ ზოგიერთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლაში ათეიზმის პროპაგანდა ცუდად არის დაყენებული.

უნდა ვიცოდეთ, რომ სკოლებში მეცნიერულ-ათეისტური მუშაობის შესუსტება არა მარტო ცრუმორწმუნეობის საფუძველს წარმოშობს მოსწავლეთა შორის, არამედ ზოგიერთ მათგანს სკოლის დამთავრების შემდეგ ეკლესიის მსახურადაც კი ხდის.

მასწავლებელს არ უნდა გამორჩეს ბავშვის ათეისტური აღზრდის არც ერთი ხელშემშლელი შემთხვევა. მან ინდივიდუალური საუბრებით უნდა უჩვენოს მშობლებს აღზრდის სწორი გზა.

ათეისტური მუშაობის კარგ მაგალითს იძლევა თბილისის მე-16 საშუალო სკოლა. აქ მეცნიერულ-ათეისტური საქმიანობა ორი ძირითადი მიმართულებით მიმდინარეობს — საკლასო და კლასგარეშე. კლასგარეშე ათეისტურ მუშაობაში გამოყენებული აქვთ მოსწავლეებთან ინდივიდუალური საუბრები ყოველი საჭირო შემთხვევის დროს. ასე მაგალითად, VII კლასის ხელმძღვანელმა გაიგო, რომ ამ კლასის ერთ-ერთი მოსწავლის დედა სექტანტია და ბავშვზე ახდენს რელიგიურ ზეგავლენას. ახლა კლასის ხელმძღვანელი სათანადო ინდივიდუალურ ათეისტურ მუშაობას ატარებს, როგორც მოსწავლესთან, ისე მის მორწმუნე დედასთან. ამ სკოლაში მხატვრული კითხვისა და თხრობისათვის ათეისტური შინაარსის მასალების შერჩევა კლასების მიხედვით წარმოებს. უდაოა, რომ ასეთ შერჩეულ წიგნებში მოსწავლეები პოულობენ პასუხს მრავალ საინტერესო საკითხზე.

მშობელთა საკლასო კრებებზე მშობლები თავიანთ გამოცდილებას უზიარებენ ერთმანეთს ოჯახში ბავშვთა ათეისტური აღზრდის შესახებ. ბევრ ოჯახში სერიოზული ყურადღება ექცევა ბავშვის ათეისტურ აღზრდას. ასეთ ოჯახებში მამები არ იფარგლებიან მარტო ბავშვთა მატერიალური უზრუნველყოფით, შვილის აღზრდის საქმეს მთლიანად დედებს კი არ აკისრებენ, თვითონაც იღებენ უშუალო მონაწილეობას.

ერთი ჩემი ნაცნობი ექიმის ოჯახში ბავშვი ჩვეულებრივ უამრავ შეკითხვას იძლეოდა: სად მიდიან ზამთარში ბუზები? რომელი უფრო ძლიერია, ლომი თუ სპილო? რატომ კვდება ადამიანი? რა არის ქუხილი? საიდან მოდის წვიმა? და სხვა.

ბავშვის მამა ძალიან დატვირთული იყო თავისი საქმით, მაგრამ მაინც პოულობდა დროს შვილთან საუბრისათვის, აკმაყოფილებდა მის ცნობისმოყვარეობას, უნერგავდა ბავშვს კარგ ჩვევებს, ამრიგად, მამამ ბავშვის აღზრდა მთლიანად როდი გადააკისრა დედას.

იმავე ოჯახში ცხოვრობდა მორწმუნე ნათესავი ქალი, იგი სარგებლობდა ბავშვთან ყოფნით და ცდილობდა ჩაენერგა მისთვის რელიგიური ცრურწმენანი, მაგრამ ბავშვი იმდენად შემზადებული იყო მამის საუბრებით, რომ მორწმუნე მოხუცმა ვერ შეძლო მოეხდინა მასზე რელიგიური ზეგავლენა. ასე მაგალითად, როცა იგი ბავშვს ეუბნებოდა: კვირა „ღმერთის“ დღეა, მამაშენი კი ამ დღეს არ უქმობს და ამით ღმერთის წინაშე ცოდვას ჩადისო, ბავშვი პასუხობდა: მამამ რომ ამ დღეს არ იმუშაოს, მაშინ მისი ავადმყოფები დაიხოცებიანო. მოხუცის ნათქვამზე, რომ მან თავის თვალით ნახა როგორ მოკლა ღმერთმა ურჩობისათვის ერთი ბიჭი ელვით — ბავშვი პასუხობდა: ის ღმერთი კარგი არ ყოფილა, ბიჭებს თუ კლავსო. მე მამამ მითხრა, რომ ელვა და ქუხილი ელექტროობაა და ავდრის დროს ხეების ქვეშ არ უნდა დადგეთო.

ამ საუბრიდან ჩანს, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბავშვის ათეისტური აღზრდისას ბუნების მოვლენების კანონზომიერების ახსნას. ბავშვის გონების გამდიდრება ჭეშმარიტი ცოდნით საუკეთესო საშუალებაა ზებუნებრივი ბრმა რწმენის წინააღმდეგ. ბავშვი თვითონ გვეხმარება ამ ამოცანის შესრულებაში. იგი ძლიერ ცნობისმოყვარეა და უამრავ შეკითხვებს იძლევა. ჩვენი მოვალეობაა არ მოუყრუოთ, გავცეთ კითხვებზე მოკლე, მაგრამ სწორი, მისთვის ადვილად გასაგები პასუხი.

შეიძლება, აგრეთვე, თქვენი პასუხი განამტკიცოთ დაკვირვებით ან უბრალო ცდით. მაგალითად, ბავშვს კითხვაზე: „სად ქრებიან ვარსკვლავები დღისით“ — აუხსენით: ისინი არ ქრებიან, უბრალოდ დღისით არ ჩანან, იმიტომ, რომ მზე ძლიერ ანათებს. აჩვენეთ როგორ მკრთალად ანათებს ნათურა დღისით. ზოგჯერ ურჩიეთ თვითონვე იფიქროს და გამოძებნოს პასუხი თავის შეკითხვებზე.

არ შეაშინოთ ბავშვი „ჭაჭებით“ და „ეშმაკებით“, რომლებიც ურჩობის შემთხვევაში ვითომდა მოიტაცებენ მას. მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ მშიშარა ბავშვი ადვილად ხდება მორწმუნე.

ი. ძიძიგური

# ჰიდროკოსმეტიკა

ჯერ კიდევ უძველეს დროში რომაელები დიდ ყურადღებას აქცევდნენ წყლით მკურნალობას. ჰიპოკრატეს თავის შრომებში მოხსენებული აქვს წყლის პროცედურები და მათ თვლის საუკეთესო სამკურნალო საშუალებად. ცნობილია, რომ წყალი, ჰაერთან შედარებით, 30-ჯერ მეტ სითბოგამტარია, რის გამოც იგი ნერვული დაბოლოებების (რეცეპტორების) საუკეთესო მექანიკურ გამაღიზიანებელს წარმოადგენს. აღნიშნული პროცედურით უმჯობესდება კანის ფიზიოლოგიური ფუნქციები და კვება.

ჰიდროთერაპიამ ანუ წყლით მკურნალობამ კოსმეტიკაში ფართო გამოყენება ჰპოვა. ჰიდროთერაპიის მიზანია გააძლიეროს კანის ტენიანობა, ეს კი აუცილებელია ისეთი კანისათვის, რომელსაც საკმარისი ცხიმიანობა არა აქვს. პროცედურის ჩატარება შეუძლია ყველას, ვისაც სახლში მოძრავი შხაპი აქვს. წყლის ტემპერატურა არ უნდა აღემატებოდეს 34-35 გრადუსს 5-6 წუთის განმავლობაში. (თუ მშრალი კანი გაქვთ წინასწარ სახეზე მკვებავი კრემი წაისვით). ჩატარებული პროცედურის დროს მექანიკურად ხდება კანის გასუფთავება, ძლიერდება სისხლის მიმოქცევა, კანის კვება, ეს უკანასკნელი კი ხელს უშლის ნაოჭების წარმოქმნას. ჰიდროკოსმეტიკა ცხიმიან კანზეც კარგად მოქმედებს — ხელს უწყობს ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებას და ცხიმის ჯირკვლების ფუნქციის რეგულირებას. არ უნდა დავივიწყოთ ჰიდროკოსმეტიკის საუკეთესო თვისებები, როცა სახეზე რომელიმე ნიღაბს ვიკეთებთ. ნიღბის დადების წინ და მისი მოხსნის შემდეგ კარგია წყლით გაჟღენთილი საფენების ხმარება, საერთოდ კი ყოველდღიურ კოსმეტიკაში ყოველგვარი საცხი დაბანილ და ნახევრადშეუმშრალებელ სახეზე უნდა წაისვათ.

ჰიდროკოსმეტიკის წყალობით კანი უფრო ელასტიური ხდება, უკეთესად ასრულებს თავის ფუნქციებს და დიდხანს არ ბერდება.

ჰიდროკოსმეტიკა რეკომენდებულია მათთვის, ვინც ოცდაათ წელს გადააბიჯა, რადგან ახალგაზრდა კანი, ცხიმოვანი ჯირკვლების აქტიური მოქმედების შედეგად, ისედაც ტენიანია და გადაჭიმული, ასაკის მომატებასთან ერთად კი ცხიმოვანი ჯირკვლების ფუნქცია ქვეითდება, ეს ხელს უწყობს კანის ზედაპირიდან წყლის აორთქლებას და კანი სიმკვრივეს კარგავს.

თამარ დუდუჩავა,
ექიმი-კოსმეტოლოგი.

## დიასახლისის გამოცდილებიდან

### ჭიშტვარი

სიმინდის გაცრილი ფქვილი თხლად მოზილეთ და სულ ცოტა მარილი უყავით. ცომი სამჭადეზე თხელი უნდა იყოს. ცალკე დაფშვენით ყველი და შეაზილეთ ცომს (ძალიან ნუ შეაზელთ). დააკარით ტაფაზე და შედგით ღუმელში. როცა კარგად დაიბრაწება, ცხლად მიიტანეთ სუფრაზე.

### კუბდარი

მსუქანი ხორცის რბილი ნაჭერი წვრილად დაკეპეთ, ჩააჭერით ხახვი, ნიორი, უყავით პილპილი, ხმელი სუნელი — გემოვნებით (შეიძლება ცოტა დანაყილი ნიგოზის ჩამატებაც). ესენი კარგად შეაზილეთ ერთმანეთს. ცალკე მოზილეთ ჩვეულებრივი წესით პურის ფქვილის ცომი, ოღონდ ცომი ძალიან რბილი არ უნდა გამოვიდეს. გამზადებულ ცომზე მოათავსეთ შეკმაზული ხორცი და ხაჭაპურივით გამოაცხვეთ. სუფრაზე ცხელს მიიტანთ.

ნინო ცინდელიანი,
მესტიის რაიონი, სოფელ ჭუბერი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბავშვის სწორი ახოვნებისათვის

(გაგრძელება)

## ვარჯიშთა კომპლექსი

**შენიშვნა:** ეს კომპლექსი ბავშვმა აუცილებლად უფროსის ზედამხედველობის ქვეშ უნდა ჩაატაროს. თქვენ უკარნახებთ ტექსტს და თვალყურს ადევნებთ, რომ ბავშვმა ვარჯიში სწორად შეასრულოს. ყურადღება მიაქციეთ ვარჯიშის დროს სუნთქვას.

ვარჯიში 1. დადექით სწორად, ქუსლები — ერთად, ცერები, — განზე. აიწიეთ ფეხის ცერებზე, გასწიეთ ხელები განზე და მაღლა, გაიჭიმეთ! წელში არ გაიზნიქოთ! დარჩით ასე, 3-7 წამი და დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას. ვარჯიში გაიმეორეთ 4-ჯერ.

ვარჯიში 2. ჩაბუქნეთ, მუხლები განზე გაიტანეთ, ხელები მხრების სიბრტყეში მოხარეთ, ამოისუნთქეთ. ნელა წამოდექით და გაიმართეთ, ხელები დაუშვით — შეისუნთქეთ. ბუქნის დროს ზედატანი სწორად გეკავოთ. ვარჯიში შეასრულეთ 6-ჯერ.

ვარჯიში 3. ჩოქბჯენის საწყისი მდგომარეობიდან გაცურდით ხელებით იატაკზე, წელში გაიმართეთ და გაიჭიმეთ. ვარჯიში ნელ ტემპში გაიმეორეთ 6-ჯერ.

ვარჯიში 4. ჩოქდგომი. მოხარეთ ხელები იდაყვში, ნებებით წინ. ერთდროულად დაიხარეთ წინ გამართული წელით! (ბეჭები შეერთებულია). შეინარჩუნეთ ამ მდგომარეობაში წონასწორობა 3-7 წამის განმავლობაში. გაიმართეთ და დაუბრუნდით ჩოქდგომს. სუნთქვას ნუ შეიკავებთ. გაიმეორეთ 4-6-ჯერ.

ვარჯიში 5. დაწექით მუცელზე, ხელები გარეზემკლავში. გაიზნიქეთ და ამასთან ერთად ხელები და ფეხები მოაცილეთ საყრდენს. გაჩერდით ამ დგომარეობაში 2-3 წამი და მერე დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას. გაიმეორეთ 2-4-ჯერ.

ვარჯიში 6. დაწექით ზურგზე. მოხარეთ ფეხები, გამართეთ წინ და ნელა დაუშვით დაბლა. გაიმეორეთ 4-ჯერ.

ვარჯიში 7. ზურგით შეეხეთ კედელს, ხელები — დოინჯში. ღრმად შეისუნთქეთ და გაიჭიმეთ. დაუშვით ხელები და ამოისუნთქეთ. შეინარჩუნეთ სწორი ახოვნება და ასე გაიარეთ 6 ნაბიჯი წინ. შემოტრიალდით ზურგისაკენ და დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას. გაიმეორეთ 4-ჯერ.

**ნ. ავალიანი,**
სამკურნალო ფიზკულტურის მეთოდისტი.


1


1ა


2


3


4


5


6


6ა


7

## საუკეთესო დრო

ერთხელ მასწავლებელმა აუხსნა მოწაფეებს: წელიწადში ოთხი დროა: გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა და ზამთარი. გაზაფხულზე მინდვრები ივსება ყვავილებით; ზაფხულში სიცხეა და მოდის პური და თივის უხვი მოსავალი; შემოდგომაზე მწიფდება ხილი და ცვივა წითელ-ყვითელი ფოთლები; ზამთარში სიცივეა და მიწა იფარება თოვლით... აბა, პატარა ზარმაცო ჟაკ, მითხარი, რომელი დრო უნდა ავირჩიოთ ვაშლების დასაკრეფად?

ჟაკმა უყოყმანოდ უპასუხა:

— უნდა ავირჩიოთ ისეთი დრო, როდესაც ფერმერი სახლშია შესული და ბაღში ძაღლი არ არის.

## მოლიერის გულკეთილობა

ერთხელ მოლიერი მათხოვარს შეხვდა და ხურდა ფული აჩუქა. ცოტა ხნის შემდეგ მოლიერმა შეამჩნია, რომ მათხოვარი მას აედევნა.

— რაშია საქმე? — შეეკითხა პოეტი.

— თქვენ შეცდით, ბატონო, ბრინჯაოს ნაცვლად ოქროს ფული მომეცით.

—სწორია, ჩემო მეგობარო, აიღე კიდევ ერთი ოქრო, რომელსაც გთავაზობ შენი პატიოსნებისათვის, — უპასუხა მოლიერმა და მათხოვარს ისევ ოქრო გაუწოდა.

## გლეხი და დალაქი

ერთი გლეხი გასასყიდად ჩამოტანილი ცოცხებით დალაქთან წვერის გასაპარსად შევიდა.

დალაქმა წვერის პარსვა დაამთავრა და ცოცხის ყიდვა მოინდომა.

— რა ღირს ცოცხი?

— ოთხი სუ.

— ძალიან ძვირია, — სთქვა დალაქმა, — აი ორი სუ და თუ თანახმა არა ხარ, შეგიძლია შენი ცოცხი უკანვე წაიღო.

გლეხმა აიღო ორი სუ და ახლა თვითონ შეეკითხა დალაქს რა გადაეხადა გასამრჯელოდ.

— ორი სუ, — მიუგო დალაქმა.

— აიღე ერთი სუ, — შეუბრუნა გლეხმა, — და თუ კმაყოფილი არა ხარ, შეგიძლია წვერი თავის ადგილზე დააბრუნო.

თარგმნა ა. სააკაშვილმა

# ფრანგული იუმორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

— როგორი სუფრა ჰქონდა ქალბატონ №-ს?

— ოო, წვნიანი რომ ისეთი ცხელი ყოფილიყო, როგორიც ღვინო იყო, ღვინოც ბატის ხორცივით ძველი ჰქონოდა და ბატი დიასახლისივით მსუქანი ყოფილიყო, ჩინებული სუფრა იქნებოდა.

X

— ვის ელაპარაკებოდი საათნახევარი კარებთან?

— ქალბატონ დიუბუას.

— მერე, რატომ არ შემოვიდა?

— ძალიან ეჩქარებოდა.

X

ქმარი სამსახურიდან ურეკავს ცოლს და აფრთხილებს, დღეს ჩვენთან დირექტორი ისადილებსო. რვა საათზე კაცი შინ მარტო ბრუნდება.

—კი მაგრამ, სად არის შენი დირექტორი? — ეკითხება გაკვირვებული ცოლი, რომელსაც სუფრა ნაირნაირი საჭმლით აუვსია.

— დირექტორს არც უფიქრია ჩვენთან მოსვლა. მინდოდა ერთხელ მაინც მესადილა რიგიანად.

X

— რა საშინელი ამინდია! თავსხმაა პირდაპირ! ნეტავი, ჩემმა ცოლმა ქოლგა თუ წაიღო?

— ნუ ღელავთ, რომელიმე მაღაზიას შეაფარებს თავს.

— სწორედ ეგ მაწუხებს!

X

გაბრაზებული ცოლი ქმარს ეუბნება:

— თავი თუ მოგაწყინე, თქვი. აგერ, ნახევარი საათია გელაპარაკები და უკვე ოცჯერ დაამთქნარე.

—არ დამიმთქნარებია. ვცდილობდი ერთი სიტყვა მაინც მეთქვა, მაგრამ ვერ მოვახერხე.

X

ერთხელ, დიდი მსახიობი დევრიენი რიჩარდ მესამის როლს თამაშობდა. იმ ადგილას, სადაც ბრძოლის შემდეგ მეფე გაიძახის: „ცხენი, ცხენი, სამეფოს მივცემ ერთ ცხენშიო,“ ქანდარიდან ვიღაცამ ჩამოსძახა

— ვირი არ გამოგადგებათ?

დევრიენმა თავაზიანად უპასუხა:

— როგორ არა, ახლავე ჩამოდით!

X

დირექტორი ეუბნება თავის მეგობარს:

— იცი, დავითხოვე ჩემი მდივანი. წარმოგიდგენია, სიტყვების წერაც კი არ იცოდა.

— მართლა?

— აბა! ყოველ წუთს მეკითხებოდა, ესა და ეს სიტყვა როგორ იწერებაო. ბოლოსდაბოლოს, მომბეზრდა ლექსიკონების ქექვა.

X

ავადმყოფი თავის ტკივილს უჩივის.

— რამდენ ხანს გრძელდება ყოველი შეტევა? — ეკითხება ექიმი.

—თითქმის ერთ საათს.

— ხშირად გიმეორდებათ?

— ყოველ ათ წუთში, ექიმო.

X

ცოლმა ჰკითხა ქმარს:

— ძვირფასო, დღეს ჩვენი ქორწინების ოცდამეხუთე წლისთავია, როგორ აღვნიშნოთ ეს დღე?

— მე მგონი, წუთიერი დუმილი ყველაფერს აჯობებდა, — უპასუხა ქმარმა.

X

ორი მეგობარი შეხვდა ერთმანეთს:

— რა მოგივიდა, რა ცხვირპირი ჩამოგტირის?

— გული გამიწყალა ცოლმა. სულ ფულს მთხოვს. დღეს დილით 250 ფრანკი მთხოვა, გუშინ — 300, გუშინწინ — 450. წარმოგიდგენია, იმ კვირას კიდევ — 200 ფრანკი.

— კი მაგრამ, სად მიაქვს ამდენი ფული?

— რა ვიცი, ჯერ ერთი ფრანკიც არ მიმიცია.

**ფრანგული ჟურნალიდან — „მოზაიკა“.**

თარგმნა **მარინა მუხურაძემ**

გარეკანზე — მხატვარ ვ. ნოსკოვის გრავიურები წიგნიდან — „ლექსები ლენინზე“.

რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედ. კოლეგია: ნ. გურგენიძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ვ. სირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), თ. წერეთელი, ნ. ჯავახიშვილი.

ტექრედაქტორი ქ. დემუროვა.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონები — 99-98-71. 99-50-39. გადაეცა ასაწყობად 20/II-69 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 26/III-69 წ., ქაღალდის ზომა 60×90¹/₈, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,3.

ტირაჟი 100.000. შეკ. 606. უე 02098 ფასი 80 კაპ.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი „საქართველოს ქალი“.

Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал «Сакартвелос кали».

Издательство ЦК КП Грузии.



„შოშიები მოფრენილან“. ფოტო ზ. დათუაშვილისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ИНДЕКС 76178